პროლეტარებო ქვეყანისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი

№ 7 (12519) | ოთხშაბათი, 9 იანვარი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ШВИДწЛЕДИС МЕХУТЕ წЛИС ПИРВЕЛ ДЦЕЕБШИ

ГЕГЕБМИТИ ВАРБАНЕЧИ

ᲐᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). მხნედ, გამართულად დაიწყეს ᲐᲘᲐᲗᲣᲠᲔᲚᲛᲐ მაღაროელებმა ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲤᲐᲠᲛᲝᲝ ᲣᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲛᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡᲐᲪ Გ. ᲒᲐᲒᲜᲘᲫᲔ ᲣᲫᲦᲕᲔᲑᲐ, 5 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲛᲝᲘᲦᲝ 65 ᲢᲝᲜᲐ ᲛᲐᲠᲒᲐᲜᲔᲪᲘ, ᲠᲐᲪ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ ᲡᲐᲒᲔᲑᲛᲝ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲛᲠᲝᲛᲘᲗᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲘᲗ

ᲤᲔᲘᲥᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკის კოლექტივმა ახალი შემართებით დაიწყო შვიდწლედის მეხუთე წელი. საწარმოს ყველა საამქრო, უბანი და ბრიგადა გადაჭარბებით ასრულებს ყოველდღიურ დავალებას.

განსაკუთრებით მაღალნაყოფიერად მუშაობენ საქსოვი და სამღებრო-საგამომყვანო საამქროები, რომლებსაც ჟ. ვაშაკიძე და ც. ინანეიშვილი უძღვებიან.

საქსოვი საამქროს კოლექტივმა ხუთი დღის საწარმოო დავალება 116 პროცენტით შეასრულა. კომუნისტური შრომის დამკვრელმა მქსოველმა ბ. თოფურიამ ერთ ცვლაში 82 მეტრის ნაცვლად 92 მეტრი ქსოვილი გამოუშვა, ხოლო ლ. მელაძე ყოველდღიურად 10 მეტრ ზეგეგმით ქსოვილს იძლევა.

ფაბრიკის კოლექტივმა ახალი წლის პირველ დღეებში გეგმის გადამეტებით ქვეყანას 20 ათასი მეტრი ქსოვილი მისცა.

ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘ. (საკ. კორ.). ახალი წლის მეურნეობა-წელს ᲢᲧᲘᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲔᲚᲛᲐᲕᲐᲚᲘᲗᲘᲡᲘᲗ ᲓᲐᲬᲧᲝ ᲛᲔᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲛᲐ მეშახტეებმა. განსაკუთრებით კარგად აიღო სტარტი დასავლეთის შახტის კოლექტივმა. საექსპლოატაციო უბანმა, რომელსაც ინჟინერი მ. ვერულაშვილი ხელმძღვანელობს, სამ იანვარს 330 ტონის ნაცვლად 410 ტონა სათბობი გამოიღო.

ლენინის სახელობის შახტში იანვრის პირველ დღეებში საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი მძალვრი სამთო ველი. იგი ყოველდღიურად რვაას ტონაზე მეტ სათბობს იძლევა. კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც შ. შარვაძე უძღვება, სამ იანვარს 124 ტონა შავი „ოქრო" გამოიღო და დღიური დავალება 235 პროცენტით შეასრულა.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲒᲕᲘᲮᲛᲝᲑᲡ

ᲩᲕᲔᲜᲡ ქვეყანაში მძლავრი ნაბიჯით შემოვიდა შვიდწლედის მეხუთე წელი. რესპუბლიკის გეოგრაფიულ რუკაზე მოხდა ახალი, დიდმნიშვნელოვანი ცვლილებები — შეიქმნა გამსხვილებული სასოფლო რაიონები, ახლა მიმდინარეობს პარტიული კონფერენციები, სადაც აჯამებენ განვლილი წლის შრომითს შედეგებს, სახავენ მომავლის გეგმებს.

რესპუბლიკის რელიეფი მრავალფეროვანია. ასევე მრავალფეროვანია ბუნებრივი პირობები. მთიან რაიონებში მინდვრებს თოვლის საბანი გადაუხურავთ, ბარში ზოგან წვიმს, ზოგან კი მზე ანათებს. მიუხედავად ამისა, სოფლის ბეჯით, შრომისმოყვარე ადამიანებს საზრუნავი არ აკლიათ, შვიდწლედის მეხუთე გაზაფხულის ღირსეული შეხვედრისათვის ემზადებიან. მექანიზატორები მანქანებს „მკურნალობენ", აგრონომები მაღალხარისხოვანი თესლისათვის ზრუნავენ, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სასუქებს იმარაგებენ...

მართალია, შარშან ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მშრომელებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს მეჩაიეობაში, მევენახეობაში, მეხილეობასა და სხვა დარგებში, მაგრამ მემარცვლეობაში მაინც ჩამორჩნენ.

ახლა უკვე დასახულია მიმდინარე წლის ახალი ზღუდეები. მიზანი ნათელია — წელს ჩვენმა რესპუბლიკამ სახელმწიფოს 200 ათასი ტონა მარცვლეული უნდა მიჰყიდოს. ამ დიდი დავალების შესრულებისათვის მზადება აქედანვე უნდა გაიშალოს მთელი სეროზულობით.

ნათქვამია — „ზამთარი ზაფხულის მუშააო". ვინც ზამთარში ენერგიულად იშრომებს — მოიმარაგებს მაღალხარისხოვან თესლს, მინერალურ და ორგანულ სასუქებს, დროულად შეაკეთებს დაზიანებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს, მას საგაზაფხულო თესვის კამპანიის მაღალ დონეზე ჩატარება არ გაუჭირდება და ზაფხულიც ხვავიანი დაუდგება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში იმსჯელეს საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებისათვის ტექნიკის სანიმუშოდ მომზადების შესახებ. შემდეგ **სიღნაღის** საწარმოო სამმართველოს მოწინავე მექანიზატორთა შეკრების მონაწილეებმა მოწოდებით მიმართეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, „საქსოფლტექნიკის" რაიონულ განყოფილებებს, სამანქანო-სამელიორაციო და მეცხოველეობის სამანქანო სადგურების მექანიზატორებს, რომ ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ შვიდწლედის მეხუთე წლის გაზაფხულს.

მას შემდეგ კარგა ხანმა განვლო. ბევრ საწარმოო სამმართველოში სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტისათვის ცოტა რამ როდი გაკეთდა. დაწინაურდნენ **გურჯაანის, თელავის, სიღნაღის, გორის, ცხაკაიას** საწარმოო სამმართველოები. რესპუბლიკის ბევრი მექანიზატორი საქმით გამოეხმაურა სიღნაღელთა პატრიოტულ თაოსნობას, და წარმატებასაც მიაღწიეს.

საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებამდე არც თუ ისე დიდი დრო დარჩა, მაგრამ **დუშეთის, ზესტაფონის, მახარაძის** და სხვა საწარმოო სამმართველოების, აგრეთვე **აფხაზეთისა** და **აჭარის** ასს რესპუბლიკების მექანიზატორები ჩამორჩნენ მანქანების რემონტის საქმეში. შარშან სწორედ ამ საწარმოო სამმართველოებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებში გაჭიანურდა საგაზაფხულო თესვა. წელსაც იგივე რომ არ განმეორდეს, დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ და რადაც უნდა დაუჯდეთ უზრუნველყონ საგაზაფხულო სამუშაოთა აგროვადებში და შეუფერხებლად ჩატარება.

მაღალკონდიციური, ჯანსაღი **თესლი** რომ უხვი მოსავლის უტყუარი გარანტიაა, ახლა ეჭვს არ იწვევს. შარშან ყვარლისა და სხვა რაიონების მშრომელებმა მარცვლეულის უხვი მოსავალი მიიღეს. ამ წარმატებათა მოპოვებაში სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად დიდი როლი იმანაც შეასრულა, რომ მინდვრები ჯანსაღი თესლით დაითესა. ყვარლელებს წელსაც საკმაოდ აქვთ კონდიციური თესლი. სამწუხაროდ, თეთრი წყაროს რაიონის სოფლების ბეშთაშენის, თიქილოს, წინწყაროს, ავრალოს და სხვა კოლმეურნეობებში სათესლე ხორბალი დანაგვიანებულია და დიდი რაოდენობით ურევია ბალახის თესლი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ხორბლის თესლის დიდი ნაწილი შემოწმებული არა აქვთ. მაღალხარისხოვანი თესლით უზრუნველყოფილი არ არიან აგრეთვე **ახალციხის** რაიონის კოლმეურნეობები. **ახალქალაქის** რაიონში შემოწმებული იყო 47.548 ცენტნერი სათესლე ქერი. აქედან უკონდიციო აღმოჩნდა 41.188 ცენტნერი, ხოლო 4.285 ცენტნერი სათესლე ხორბალი — გაუწმენდავი.

მოწინავე საბჭოთა მეცნიერებისა და მემინდვრეების გამოცდილებით დადასტურებულია, რომ ახლა **სასუქების** გამოუყენებლად მოსავლიანობას ვერ გაზრდი. სხვა აგროღონისძიებებთან ერთად ორგანული და მინერალური სასუქები დიდად ზრდის მოსავლიანობას. სამწუხაროდ, ამ ანბანურ ჭეშმარიტებას ბევრგან ივიწყებენ და მეტად ნაკლებ დაინტერესებას იჩენენ სასუქების ჯეროვნად გამოყენებისადმი. მხოლოდ ამით უნდა აიხსნას ის, რომ **გუდაუთის, ოჩამჩირის, ჩაქვის, ზუგდიდისა** და სხვა რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს მინერალური სასუქები „საქსოფლტექნიკის" რაიონული განყოფილებებიდან დროულად არ გააქვთ. საინტერესოა როგორ ფიქრობენ მოსავლიანობის გადიდებას?!

დაიწყო სოფლად პარტიული ორგანიზაციის გარდაქმნა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებანი ფრთებს ისხამს. ზოგან უკვე ჩატარდა პარტიული კონფერენციები, აირჩიეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოების პარტიული კომიტეტები. ახალი პარტიული ორგანიზაციის კონფერენციებზე ერთ-ერთი საჭირბოროტო საკითხი საგაზაფხულო სამუშაოებისათვის, თესვისათვის მზადების საკითხი უნდა იყოს. კონფერენციებზე ამ ფრონტს დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს და გამოაშკარავებული ნაკლოვანებანი რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს, რომ ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ საგაზაფხულო სამუშაოების დაწყებას.

ნუ დავივიწყებთ, რომ მიწა ადამიანის მარჩენალია. ვისაც მიწა უყვარს, მას უნდა შეეძლოს მისი მოვლა, პატრონობა. ვინც მას შრომისმოყვარეობით მოეკიდება, იგი ბარაქას დაუხვავებს, გაახარებს.

გაზაფხული გვიხმობს, ამხანაგებო, ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ მას!

ᲛᲔᲐᲒᲣᲠᲔᲔᲑᲘ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲜ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ მშრალი წნეხვის აგურის ქარხნის კოლექტივმა სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრა გასული სამეურნეო წელი. გეგმის გადამეტებით სამშობლოს მისცა 3 მილიონ ცალზე მეტი აგური. წარმოების კოლექტივმა შრომის მაღალი ტემპი აიღო შვიდწლედის მეხუთე წელსაც. აქ იანვრის გასული ხუთი დღის დავალება 105 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 520 ათასი ცალი აგური და 5 ათასი მანეთის მზაკვრული კერამიკული ჭერქელი.

შვიდწლედის მეხუთე წლის დავალების ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში ახალი წლის პირველი დღეებიდანვე დაწინაურდა კერამიკული ჭერქლის საამქრო, რომელსაც ლ. მოსულიშვილი და ი. ცერიაშვილი ხელმძღვანელობენ. საგამომწვეო საამქროში დაწინაურდა კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც ო. მაჩიტიძე უძღვება.

მეავტურეების ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა კიდევ უფრო გააძლიერონ მუშაობის ტემპი, ყოველდღიურად ამრავლონ წარმატებები და ვადამდე უზრუნველყონ შვიდწლედის მეხუთე წლის დავალების შესრულება და სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ რამდენიმე მილიონი ცალი აგური.

ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲢᲔᲛᲞᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ფეხსაცმლის საწარმოთა გაერთიანების ტყავ-საგალანტერიო საწარმოს კოლექტივმა სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრა გასული წელი. წარმატებით დაიწყო შვიდწლედის მეხუთე წელიც. საწარმოს კოლექტივმა იანვრის ხუთი დღის დავალება გადაჭარბებით შეასრულა.

პირველ დღეებშივე ახალი წარმატება მოიპოვა სასარაჯო საამქრომ, რომელსაც დ. სურმავა უძღვება. აქ ხუთ დღეში საწარმოო დავალება 115,3 პროცენტით გაანაღდეს და სამშობლოს რამდენიმე ასეული მანეთის ზეგეგმითა პროდუქცია მისცეს. ფაბრიკაში ბევრმა ბრიგადამ ნაყოფიერად დაიწყო ახალი წელი. ყველას მაინც ნ. გოგოლაძის ბრიგადამ აჯობა. მან ხუთი დღის დავალება 117,6 პროცენტით შეასრულა.

ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲛᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲝ ᲒᲐᲠᲯᲐ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ახალი წლის დამდეგიდანვე რიტმულად, გრაფიკის მიხედვით მუშაობს მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის კოლექტივი. ტრაქტორმშენებლები უკვე შეუდგნენ სამპაიო დავალების შესრულებას — დაიწყეს ხარკოვის სატრაქტორო ქარხნის მიერ გამოშვებული „ტ-16" მარკის ტრაქტორების მოდერნიზაცია ჩაის საკრეფი მანქანებისათვის. მარტო იანვარში მოდერნიზებულ იქნება 35 ტრაქტორი.

ამ პასუხსაგები დავალების შესასრულებლად მაღალნაყოფიერად შრომობს № 2 მექანიკური საამქროს ამწყობ-ზეინკალთა უბანი, რომელსაც ჟ. სახვაძე ხელმძღვანელობს. მაღალი საწარმოო მაჩვენებლები მოიპოვეს № 1 მექანიკური საამქროს ა. ხუროძისა და ა. კუჭუხიძის კომუნისტური შრომის ბრიგადებმა. იანვრის პირველ დეკადაში მათ 15 ცალი ტრაქტორი „რიონი" უნდა აწყონ, ფაქტიურად მარტო ხუთ დღეში აწყეს და გამოუშვეს გეგმასთან შედარებით გაცილებით მეტი.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ — ᲰᲐᲕᲐᲜᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 7 იანვარი (საკდესის კორ.). დღეს დილით ვნუკოვოს აეროპორტიდან პირველი სამგზავრო რეისით თავისუფლების კუნძულზე წავიდა საჰაერო ხომალდი „ტუ-114".

„ტუ-114" საბჭოთა კავშირსა და კუბას შორის ივლის კვირაში ერთხელ. ტრასა, რომლის სიგრძე 10.800 კილომეტრია, გადის ატლანტის ოკეანის ნეიტრალურ წყლებზე, გრენლანდიის, კანადისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაპირების გაყოლებით. ეს ერთ-ერთი ყველაზე რთული საერთაშორისო საავიაციო მარშრუტია. მანძილს კუბამდე „ტუ-114" გაივლის 17 საფრენოსნო საათში, უკან კი „ზურგის" ქარის პირობებში თითქმის სამი საათით უფრო ჩქარა.

მოსკოვი-ჰავანა 29-ე საერთაშორისო ავიახაზია, რომელსაც მომსახურებას უწევენ საბჭოთა საჰაერო ლაინერები.

ᲠᲡᲤᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲨᲘ

ᲘᲛᲐᲡᲗᲐᲜ დაკავშირებით, რომ 1963 წლის 1 მარტს ვადა გაუდის რუსეთის სფსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რწმუნებებს და 1963 წლის 5 მარტს — რუსეთის სფსრ მშრომელთა დეპუტატების მერვე მოწვევის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების რწმუნებებს, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებით დაინიშნა რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის სფსრ მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები კვირას, 1963 წლის 3 მარტს.

„ᲮᲘᲓᲘ" ᲖᲦᲕᲐᲖᲔ

ᲒᲐᲥᲘ, (ბორანი „საბჭოთა აზერბაიჯანი"). (საკდესის კორ.). საზეიმო ვითარებაში გადაეცა რეგულარული ექსპლოატაციისათვის ევროპაში უდიდესი ბორანი, რომელმაც ერთმანეთს დაუკავშირა კასპიის ზღვის დასავლეთი და აღმოსავლეთი ნაპირები. დიზელ-ელმავალმა „საბჭოთა აზერბაიჯანმა", რომელსაც მართავს კაპიტანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გ. პანაჟოვი, კურსი აიღო კრასნოვოდსკისაკენ. დიზელში არის 30 ოთხლუქიანი რკინიგზის ვაგონი, რომლებშიც სხვადასხვა ტვირთია, განკუთვნილი შუა აზიის რესპუბლიკებისათვის, და რამდენიმე ასეული მგზავრია.

გადასაკეთების გახსნასთან დაკავშირებით ბაკოს ნავსადგურში გაიმართა მიტინგი.

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲮᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲐᲠᲘᲡ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲐ!

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. („კომუნისტის" კორ.). ამ დღეებში საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მთავარი ყურადღება მიქცეული აქვს თესვისათვის სანიმუშოდ მომზადებას. კოლმეურნეობებმა კარგად იმუშავეს თესლის მომარაგებისათვის. საგაზაფხულო თესვისათვის საჭირო 5.760 ცენტნერი თესლის ნაცვლად აქვთ 7.238 ცენტნერი. უკვე კონდიციამდე აყვანილია 5.830 ცენტნერი თესლი.

საუკეთესო თესლი აქვთ მომზადებული აკურის, ვანთის, კონდოლის, კურდღელაურის კოლმეურნეობებსა და ნაფარეულის საბჭოთა მეურნეობას. ქების ღირსნი არიან საწარმოო სამმართველოს მექანიზატორები. მათ უკვე შეაკეთეს 92 ტრაქტორი ნაცვლად 90-ისა. 48 გუთნის ნაცვლად შეკეთებულია 50 გუთანი. მზად არის 5 სათესი მანქანა და 10 კულტივატორი.

თესვისათვის ტექნიკის მოსამზადებლად განსაკუთრებით კარგად იმუშავეს ვარდისუბნის, კონდოლის, მატნის, ოქიოს და სხვა კოლმეურნეობებმა.

ᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲡᲣᲥᲔᲑᲡ

„ᲡᲐᲥᲡᲝᲤᲚᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ" ცნობით, აფხაზეთის ასსრ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ჯერ კიდევ არ გაუტანიათ 5.113 ტონა მინერალური სასუქები. ასე იყო შარშანაც და ამიტომ სიმინდის და სხვა მარცვლეული კულტურების დაბალი მოსავალი მიიღეს.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს „საქსოფლტექნიკის" რაიონული განყოფილებებიდან გასატანი აქვთ 1.154 ტონა მინერალური სასუქები, ზუგდიდის რაიონს — 2.780 ტონა, ჩაქვის რაიონს — 1.951 ტონა, ლაჩხუთის რაიონს — 1.160 ტონა, ხაშურის რაიონს — 1.174 ტონა. სასუქების გატანას აგვიანებენ აგრეთვე წყალტუბოს, ახალციხის, დუშეთისა და სხვა რაიონები.

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ გაზაფხულს, დროულად მოვიმარაგოთ სასუქები, დანიშნულებისამებრ და აგროწესების ზუსტად დაცვით გამოვიყენოთ მოსავლიანობის გადიდების ეს დიდმნიშვნელოვანი რეზერვი — ასეთია სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სოფლის ყველა მშრომელის საღღეისო ამოცანა.

ᲒᲝᲠᲔᲚᲔᲑᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲒᲝᲠᲘ. („კომუნისტის" სპეც. კორ.). საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში წელს საგაზაფხულო კულტურები რამდენიმე ათეული ათასი ჰექტარი დაითესება. საგაზაფხულო ქერი უნდა დაითესოს 4.500 ჰექტარი. დასათესად საჭირო 7.645 ცენტნერის ნაცვლად აქვთ 9.944 ცენტნერი ქერის თესლი.

დიდ ფართობებს დაიკავებს სიმინდის ნათესები. სულ დაითესება 20.150 ჰექტარი სიმინდი. აქედან სამარცვლედ — 15.300 ჰექტარი. დანარჩენი — სასილოსედ. სიმინდის თესლი გამოყოფილია 9.780 ცენტნერი ნაცვლად 7.053 ცენტნერისა. წელს იზრდება ბარდის ნათესები და იგი 1.726 ჰექტარს დაიკავებს.

ამასთან ერთად კოლმეურნეობებში იმარაგებენ და კონდიციამდე აყენებენ ბოსტნეულის, ბალახების, ესპარცეტის თესლი. საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში წინ მიდიან ქვასხვრელის, ყარაღაჯის, ნიქოზის და სხვა კოლმეურნეობები. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ტრაქტორებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტი.

ᲝᲥᲠᲝᲡ ᲜᲐᲧᲝᲤᲘ

ᲪᲘᲪᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲑᲐᲚᲜᲐᲠᲔᲑᲡ ᲓᲐᲣᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲘᲐ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲮᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐ. ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘ ᲐᲛ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲐᲒᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲙᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲬᲚᲘᲡ ᲘᲧᲝ. ᲑᲐᲠᲐᲥᲘᲐᲜᲘ, ᲓᲐᲚᲝᲪᲕᲘᲚᲘ ᲛᲘᲬᲐᲐ ᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲖᲔ, ᲐᲮ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲮᲐᲠᲝᲑᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲮᲐᲠᲐᲓ. ᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲗᲐ ᲪᲘᲪᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲓᲦᲔᲐ — ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲔᲑᲘ.

ᲤᲝᲢᲝ Ბ. ᲡᲝᲙᲝᲚᲝᲕᲘᲡᲐ.

ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ

ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ, 8 იანვარი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა თათბირი იდეოლოგიური მუშაობის საკითხებზე, რომელიც მოიწვია მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. თათბირში მონაწილეობს ათასზე მეტი კაცი.

თათბირს ესწრება სკკპ დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. თ. ილიჩოვის მეთაურობით, რომელიც მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით ჩამოვიდა.

თათბირის მონაწილეებს შესავალი სიტყვით მიმართა მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ი. ცედენბალმა.

ᲓᲐᲙᲐᲢᲘᲛᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲓᲔᲚᲘ, 8 იანვარი. (საკდესი). პრესა იუწყება ინდოეთის კომუნისტური პარტიის წევრთა ახალი დაპატიმრების შესახებ. როგორც გაზეთი „ამრიტა ბაზარ პატრიკა" იუწყება, კალამპონგში დაპატიმრებულია ამ ქალაქის კომპარტიის ორგანიზაციის ხელმძღვანელი კ. ბ. შარმა. დარჯილინგის ოლქში, წერს გაზეთი, სულ დაპატიმრებულია 59 კომუნისტი. პენჯაბში ამას წინათ დაიპატიმრეს ხუთი კომუნისტი.

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 8 იანვარი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ დაგმო, როგორც უგუნური და უპასუხისმგებლო, კატანგის თვითმარქვია „პრეზიდენტის" ჩომბეს მუქარა, რომ გამოიყენებს „გადაბუგული მიწის" ტაქტიკას, მათ შორის დაანგრევს სამთამადნო საწარმოებს, ელექტროსადგურებს, ხიდებსა და ა. შ.

ჩომბემ და მისმა მინისტრებმა, რომლებიც ელიზაბეტვილიდან გაიქცნენ, ფაქტიურად უარი თქვეს თავიანთ ფუნქციებზე პროვინციაში, აღნიშნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა. ის მუქარა კი, რომ გამოიყენებენ „გადაბუგული მიწის" ტაქტიკას კატანგაში, დიდ უბედურებასა და ტანჯვა-ვაებას მოუტანს ამ პროვინციის მცხოვრებთ.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ყოველ ღონეს იხმარს, რათა დააბრკოლოს ამ მუქარის განხორციელება.

ᲕᲘᲖᲘᲢᲐᲓ ᲘᲣ�გᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐᲨᲘ

ᲑᲔᲚ�გᲠᲐᲓᲘ, 8 იანვარი. (საკდესი). დღეს ბელგრადს ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია, რომელიც მოლაპარაკებას აწარმოებს იუგოსლავიის წარმომადგენლებთან ატომური ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების დარგში შემდგომი თანამშრომლობის შესახებ. დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ა. ლევშა.

საბჭოთა დელეგაცია იუგოსლავიაში დაჰყოფს 10 დღეს და დაათვალიერებს იუგოსლავიის ატომურ ინსტიტუტებს ვინჩაში, ზაგრებსა და ლუბლიანაში, აგრეთვე რამდენიმე სამრეწველო საწარმოს.

Ն. Ш. ᲤᲔᲓᲠᲘᲜᲙᲝ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲔᲑᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 8 იანვარი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ ბინაში სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკო შეხვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან აკრედიტებულ პრესის წარმომადგენლებს და უპასუხა კორესპონდენტთა ძრავალ შეკითხვაზე.

მთელი რიგი შეკითხვები შეეხებოდა კარიბის აუზში წარმოქმნილი კრიზისის მოწესრიგებას.

სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში უპასუხა აგრეთვე მთელ რიგ სხვა კითხვებზე.

ᲠᲣᲛᲑᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲬᲧᲝᲗ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 8 იანვარი. (საკდესი). რეიტერის საინფორმაციო სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, კატანგის „პრეზიდენტი" ჩომბე დღეს ელიზაბეტვილში დაბრუნდა.

ᲝᲠᲘ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲒᲚᲘᲕᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲗᲐ ᲔᲠᲗᲝᲒᲚᲘᲕᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠ ᲛᲓᲒᲘᲕᲐᲜᲡ Უ ᲗᲐᲜᲡ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 8 იანვარი. (საკდესი). ᲮᲔᲚᲡ ᲐᲬᲔᲠᲔᲜ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲒᲝ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗ

ღრმად ჩავწვდეთ მეურნეობის ეკონომიკას

ვრცელი და მრავალდარგოვანია ზესტაფონის გამსხვილებული რაიონი. იგი გადაჭიმულია სურამის უღელტეხილიდან ქუთაისამდე და ტყიბულიდან ახალციხის მთებამდე. მას უჭირავს 1.730 კვადრატული კილომეტრი და მოიცავს ზესტაფონის, ორჯონიკიძის, თერჯოლის ყოფილ რაიონებს. მის ტერიტორიაზე ცხოვრობს 141 ათასი ადამიანი, რომლებიც შრომობენ 85 კოლმეურნეობაში, სამ საბჭოთა მეურნეობასა და სამ სახელმწიფო სანერგეში. გამსხვილებულ რაიონს აქვს 37.965 ჰექტარი მიწის სავარგული, აქედან 16,037 ჰექტარი სახნავ-სათესია.

რაიონის ეკონომიკაში წამყვანი დარგია მევენახეობა, რომლის შემოსავალი საერთო შემოსავლის 75 პროცენტს შეადგენს. აქ კარგად ხარობს ხეხილი, სიმინდი, პარკოსანი კულტურები, ჩაი, დაფნა; აქაური მშრომელები მისდევენ მეცხოველეობას, მეაბრეშუმეობას, მეფუტკრეობას...

ყველა ამ დარგების დაჩქარებით განვითარებაზე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიუხვის შექმნაზე იმსჯელა ზესტაფონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პირველმა პარტიულმა კონფერენციამ.

ხუთასზე მეტი დელეგატი შეიკრიბა ზესტაფონის კულტურის სახლში. მათი საუბრის მთავარი თემა იყო სოფლის მეურნეობის მართვის გარდაქმნა, პარტიული ხელმძღვანელობის ახალი სტრუქტურა, მომავლის პერსპექტივები.

მოხსენებით — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმის შედეგები და საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები", გამოვიდა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე პ. სახვაჩიძე. მან ილაპარაკა ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობაზე, სადაც მოცემულია სახალხო მეურნეობის, საბჭოთა ეკონომიკის მძლავრი განვითარების გზები, საბჭოთა ეკონომიკისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ახალი მეთოდები და ფორმები.

მომხსენებელი და კამათის მონაწილენი ხაზს უსვამდნენ რაიონის ეკონომიკის ძირითადი დარგის — მევენახეობის განვითარების პერსპექტივებსა და საბრძოლო ოპერატიულ პრობლემებს. მათ გულისტკივილით აღნიშნეს, რომ ყურძნის მოსავლიანობამ ჰექტარზე 1962 წელს ძლივს მიაღწია 35-37 ცენტნერს. პირდაპირ შეუწყნარებელია, რომ უკანასკნელ ათ წელიწადში საკოლმეურნეო ვენახების ფართობი ნაცვლად ზრდისა, მნიშვნელოვნად შემცირდა.

კონფერენციაზე განსაკუთრებით მკაცრად ითქვა იმის შესახებ, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია საზოგადოებრივი მეურნეობის ზრდის ტემპი. მაგალითად, **საკოლმეურნეო ვენახებს უპირავს 8.690 ჰექტარი, ხოლო საკარმიდამო ვენახებს — 5.903 ჰექტარი.** დელეგატებმა მოითხოვეს, რომ საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა, რომელსაც კონფერენცია აირჩევს, მთავარი ყურადღება მიაქციოს საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განვითარების საქმეს.

საწარმოო სამმართველოს მეურნეობებმა ვერ შეასრულეს სიმინდის მოსავლიანობის დავალებაც. ჰექტარზე ნაცვლად 18 ცენტნერისა მიღებულია 14 ცენტნერი, კიდევ უფრო დაბალია პარკოსანი კულტურების მოსავალი.

კვლავ ჩამორჩენილი დარგია მეცხოველეობა, დაბალია ხორცის წარმოება, წველადობა.

მომხსენებელი და მოკამათენი ვრცლად შეეხერდნენ პროდუქციის თვითღირებულების საკითხებზე. აღნიშნეს, რომ ბევრ კოლმეურნეობაში ყოველი ცენტნერი ყურძნის მოყვანა ორჯერ იმაზე მეტი უჯდებათ, რასაც მასში იღებენ. ზარალით მუშაობენ ბევრი ადრეთვე როდინოფლისა და არგვეთის საბჭოთა მეურნეობები, მეცხოველეობის ფერმები.

კონფერენციაზე ბევრი ითქვა ნიადაგის დამუშავების მექანიზაციის დონის ამაღლებაზე, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებაზე, პარტიულ-ორგანიზატორული ძალა მუშაობის გარდაქმნაზე, კადრების შერჩევასა და განსაკუთრებით ადამიანებთან გულმოდგინე, ყოველდღიურ მუშაობაზე. დელეგატებმა განსაკუთრებით ფართოდ იმსჯელეს საზოგადოებრივი მეურნეობის სწრაფად ზრდის აუცილებლობაზე. შვიდწლედის ბოლოსათვის აქ უნდა იყოს 6.725 ჰექტარი ვენახი, რითაც საკოლმეურნეო ზვრები გაუსწრებს საკარმიდამო ვენახებს.

სოფელ ფუთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ **ციალა გელაშვილმა** მოითხოვა, რომ დაჩქარდეს მცირეგაბარიტანი ტრაქტორების გამოშვება, რაც აუცილებელია ვენახებისათვის. ასეთ ტრაქტორს ჩვენ მხოლოდ ფოტოსურათებით ვიცნობთო.

ზესტაფონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსი **მ. სამხარაძე** თავის სრტყვაში შეეხო საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განვითარების, სპეციალისტთა როლის ამაღლების საკითხებს და მოითხოვა, რომ სამმართველოს კოლმეურნეობებს დროზე გამოეყოს ახალი ტექნიკა, მინერალური სასუქები.

— ჩვენმა **კოლმეურნეობამ ყოველ ჰექტარზე მიიღო 71 ცენტნერი ყურძენი და 24 ცენტნერი სიმინდი,** — თქვა სოფელ თერჯოლის ლენინის სახელობის **კოლმეურნეობის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა 3. ნემსაძემ.** მაგრამ ეს ჩვენთვის ზღვარი როდია. არც წელს შევირცხვენთ თავს. ორატორმა კონფერენციის მონაწილეთა ყურადღება მიაქცია იმას, რომ გაძლიერდეს ბრძოლა უსაქმურების, ზარმაცების, საკოლმეურნეო დოვლათის მომთვისებლების წინააღმდეგ.

ახალი პარტიული კომიტეტის მომავალ ამოცანებზე ილაპარაკეს აგრეთვე ლაშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ **თ. თხელიძემ,** როდინოფლის საბჭოთა მეურნეობის **დირექტორმა ვ. მაღლაკელიძემ,** საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარის მოადგილემ **ძ. ზარნაძემ** და სხვებმა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარე **შ. ი. მაჩუქაძე.** ორატორი დაწვრილებით შეჩერდა გამსხვილებული ზესტაფონის რაიონის სოფლის მეურნეობის განვითარების კონკრეტულ ამოცანებზე.

კონფერენციამ შეიმუშავა პრაქტიკული ღონისძიება და აირჩია ხელმძღვანელი ორგანოები.

შედგა ზესტაფონის საწარმოო სამმართველოს ახლადარჩეული პარტიული კომიტეტის პირველი პლენუმი, რომელმაც აირჩია ბიურო. **პარტიული კომიტეტის მდივნად არჩეულია პ. სახვაჩიძე,** ხოლო მოადგილეებად — **ძ. ზარნაძე** და **დ. კიკნაძე.**

პ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ცხოვრებით ნაკარნახევი

ზესტაფონი. (საკ. კორ.). გაიმართა ზესტაფონის სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიული ორგანიზაციის პირველი კონფერენცია. მოხსენებით — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმი და პარტიული ორგანიზაციის ამოცანები" გამოვიდა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე თ. კაპანაძე.

კონფერენციამ ერთხმად მოიწონა ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი და ახლადარჩეულ პარტიულ კომიტეტს დაუსახა მუშაობის კონკრეტული ღონისძიება.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. **გ. ჩოგოვაძე.** ზესტაფონის სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩია **თ. კაპანაძე,** მოადგილეებად — **ო. ბუხნიკაშვილი** და **მ. სარალიძე.**

ბაბრა. (საკ. კორ.). გუშინ სამრეწველო-საწარმოო ზონის პარტიული ორგანიზაციის პირველ კონფერენციაზე სამასზე მეტმა დელეგატმა მოიყარა თავი. მოხსენებით გამოვიდა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე ა. ჭითანავა.

დელეგატებმა ილაპარაკეს პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერების მნიშვნელობაზე, ჯანმრთელობის კერების, რკინიგზის, ავტოტრანსპორტისა და მშენებლობის გაუმჯობესების საკითხებზე.

დარბაზში კომუნისტთა გულღია საუბარია...

ყველა დელეგატი, ვინც კი მონაწილეობა მიიღო კამათში, ერთხმად აღნიშნავდა, რომ ორი რაიონის — ზესტაფონისა და თეთრი წყაროს რაიონების გაერთიანება დადებით შედეგს გამოიღებს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საქმეში. პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების პრაქტიკულად განხორციელებისათვის ბრძოლაში.

კონფერენციამ, რომელმაც განიხილა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარის ა. ბექაურის მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმის შედეგები და საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები", ხაზი გაუსვა იმას, რომ პარტიული ორგანიზაციების თავიდან ბოლომდე საწარმოო პრინციპის მიხედვით აგება საშუალებას მოგვცემს მთელი ძალღონე მოვახმაროთ კომუნისტური მშენებლობის უმთავრესი ამოცანების გადაჭრას.

როგორც მომხსენებელმა, ასევე კონფერენციის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ საწარმოო სამმართველო ორგანიზებულად შეუდგა სოფლად მუშაობას. მისმა სპეციალისტებმა გარკვეული დახმარება აღმოუჩინეს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს წარმატებით დაემთავრებინათ სამეურნეო წელი: ძროხის სულადობის გეგმა შესრულებულია 103 პროცენტით, ღორისა — 140 პროცენტით, ცხვრისა — 104 პროცენტით. სახელმწიფოს მიეყიდა დიდი რაოდენობით ხორცი, რძე, ხოლო კარტოფილი 3.370 ცენტნერით მეტი, ვიდრე წინა წელს. საგრძნობლად გადიდდა სიმინდის, ხორბლის, ქერის და სხვა კულტურების მოსავალი. ამ წარმატებებში საგრძნობლად დიდი როლი შეასრულეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ობიექტურად ხსნიდნენ დელეგატები სოფლის მეურნეობის საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებებს, ამასთან ისინი მთელი პირდაპირობით აცხადებდნენ, რომ საწარმოო სამმართველომ ვერ გამოიყენა ყველა შესაძლებლობა და რეზერვი. ადგილი აქონდა უპერსპექტივო მუშაობის მრავალ ფაქტს.

ახალი, შვიდწლედის მეხუთე წელი მეტად სერიოზული ამოცანების წინაშე აყენებს თეთრი წყაროს საწარმოო სამმართველოს პარტიულ ორგანიზაციას. როგორც კონფერენციის დელეგატებმა — ასევე თეთრი წყაროს ორგანიზაციების მდივანმა **ა. ბ. ბ. ბ

საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობისათვის

უცხოეთის გამოხმაურება „პრავდის“ სარედაქციო სტატიაზე, „განვამტკიცოთ კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის“

პრაღა, 8 იანვარი. (საკდესი). „პრავდის“ სარედაქციო სტატია „განვამტკიცოთ კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის“ ჩეხოსლოვაკიის დღევანდელი პრესის ერთ-ერთი მთავარი თემაა. „რუდე პრავომ“ გამოაქვეყნა სტატიის სრული ტექსტი. გაზეთი განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმ ადგილებს, სადაც აღნიშნულია, რომ უაღრესად საჭიროა განმტკიცდეს კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა ქვეყნად მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის, სადაც გამოთქმულია ურყევი რწმენა, რომ მშვიდობისა და სოციალიზმის ძალები სძლევენ რეაქციისა და ომის ძალებს, სადაც ხაზგასმულია მშვიდობიანი თანაარსებობისა და ორი სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის შეჯიბრების ლენინური პოლიტიკის ისტორიული კანონზომიერება. გაზეთი მსჯელი შრიფტით გამოყოფს სტატიის დებულებებს, რომლებიც ცხადყოფენ, რომ საზიანო და უსაფუძვლოა დოგმატიკოსთა და სექტანტთა უპასუხისმგებლო ავანტიურისტული პოზიცია, რომელსაც საერთო არა აქვს რა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებასთან, რომელიც შეუწყნარებლად ეწინააღმდეგება ხალხთა იმედებსა და მისწრაფებებს და ხელს უწყობს იმპერიალისტებს.

სოფია, 7 იანვარი. (საკდესი). დღეს ბულგარეთის ყველა რადიოსადგურმა გადასცა შინაარსი გაზეთ „პრავდის“ სტატიისა „განვამტკიცოთ კომუნისტური მოძრაობის ერთობა მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის“.

„დიდი ინტერესით მოვისმინე რადიოთი გაზეთ „პრავდის“ სტატია,—განუცხადა საკდესის კორესპონდენტს ბულგარელმა კომუნისტმა 1897 წლიდან, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა იორდან მილევმა. — ჩვენ, ბულგარელი კომუნისტები, — თქვა მან, — მრავალი ათწლეულის განმავლობაში ვაწარმოებდით შეურიგებელ და მტკიცე ბრძოლას რევიზიონიზმის, დოგმატიზმისა და სექტანტობის წინააღმდეგ, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ერთობისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის ურყევი პრინციპების საფუძველზე. ხავსებით ვეთანხმები შეფასებასა და დასკვნებს, რომლებიც მოცემულია სტატიაში და რომლებშიც გაკრიტიკებულია ალბანეთის შრომის პარტიის ახლანდელი ხელმძღვანელების არასწორი, დოგმატური, ანტილენინური შეხედულებანი კარიბის ზღვის კრიზისის პერიოდის მოვლენებზე.

არ არის დედამიწაზე პატიოსანი ადამიანი,—თქვა იორდან მილევმა,—რომელმაც არ იცოდეს, რომ კაცობრიობისათვის ძნელ დღეებში საბჭოთა მთავრობამ და მისმა ხელმძღვანელმა ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომლებიც არ ამყვნენ არავითარ პროვოკაციას, მსოფლიო იხსნეს თერმოატომური ომის საშინელებისაგან“.

ბერლინი, 8 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა“ დღეს გამოაქვეყნა სრული ტექსტი გაზეთ „პრავდის“ სარედაქციო სტატიისა“ განვამტკიცოთ კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის“, სხვა გაზეთებმა დაბეჭდეს ამ სტატიის დაწვრილებითი შინაარსი.

გერმანიის თავისუფალ პროფკავშირთა გაერთიანების გამგეობის ორგანო გაზეთი „ტრიბუნე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „პრავდა“ მკვეთრად აკრიტიკებს დოგმატიკოსებსა და „მემარცხენე ფრაზეოლოგიის“ წარმომადგენლებს.

ახალგაზრდული გაზეთი „იუნგე ველტი“ ბეჭდავს სტატიის შინაარსს სათაურით „კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისათვის“.

ლონდონი, 8 იანვარი. (საკდესი). სტატიამ „განვამტკიცოთ კომუნისტური მოძრაობის ერთიანობა მშვიდობისა და სოციალიზმის გამარჯვებისათვის“, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდაში“, დიდი ინტერესი გამოიწვია ინგლისის დედაქალაქში. გუშინ მთელი დღის განმავლობაში სტატიის ადგილებს გადმოსცემდნენ რადიოსა და ტელევიზიის ახალი ამბების გამოშვებებში.

ინგლისის დღევანდელი გაზეთები დიდ ადგილს უთმობენ სტატიის შინაარსს ან მის ადგილებს, აქვეყნებენ მათ თვალსაჩინო ადგილას დიდი სათაურებით.

გაზეთმა „გარდიანმა“ მთელი გვერდი დაუთმო სტატიის შემოკლებულ ტექსტს. „პრავდა“ უპასუხებს დოგმატიკოსებს“, „რა არის „სერიოზული წუხილის“ მიზეზი?“ — ნათქვამია გაზეთის სათაურებში. გვერდს ზემოთ „გარდიანი“ ბეჭდავს „პრავდის“ 7 იანვრის სატელეფონო ფურცელს. ნ. ს. ხრუშჩოვის პოლიტიკა „მხედველობაში იღებს მსოფლიოს რეალურ პირობებს, და არა XIX საუკუნის აბსტრაქციას“, — ნათქვამია გაზეთის სარედაქციო სტატიაში.

„მთელი მსოფლიოს კომუნისტებს ერთიანობა ესაჭიროებათ“, „თავიდან ავიცილოთ გათიშვა“, — ამბობს „პრავდა“, — ასეთი სათაურებით ბეჭდავს სტატიის ადგილებს ინგლისელ შრომელთა გაზეთი „დეილი უორკერი“.

„პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატიის შინაარსს ერთ სვეტზე მეტი უკავია გავლენიან „ტაიმსში“.

ბურუჟაზიული გაზეთების მიმომხილველთა უმრავლესობა ღვარძლიანად წერს იმ უთანხმოებათა გამო, რომლებიც არსებობს მსოფლიო კომუნისტურ მოძრაობასა და ალბანელ ხელმძღვანელთა და მათ მომხრეთა შორის, კომენტარები უხვად შეიცავენ გამოხდომებს სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

ПРОФЕСОРИ ГИОРГИ МУХАДЗЕ

გ ა ბ ა ნ ი. ცნობილ პროფესორი გიორგი მიხეილის-ძე მუხაძე, საქართველოში უმაღლესი ტექნიკური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს ს. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასალათა გამძლეობის და დრეკადობის თეორიის კათედრის გამგე, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

იგი დაიბადა 1886 წელს. 1912 წლიდან, ჯერ კიდევ როგორც სტუდენტი ტომსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა, ორი წლის განმავლობაში მუშაობდა ცემბრირის რიგინგზაზე ხიდების და სხვა ხელოვნურ ნაგებობათა გადაკეთება-აღდგენაზე.

1916 წლიდან, ინსტიტუტის დამთავრებისას, მუშაობდა საქართველოში ინჟინერ-მშენებლად და არა ერთი პასუხსაგები მშენებლობის აქტიური მონაწილე იყო.

ერთდროულად პროფესორი გიორგი მუხაძე ეწევა ინტენსიურ მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1928 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მას ენიჭება დოცენტის სამეცნიერო წოდება, ხოლო 1931 წელს — პროფესორისა, ირჩევენ სამშენებლო მექანიკის კათედრის გამგედ და ამ თანამდებობაზე მან დაპყო თავისი სახელოვანი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

მნიშვნელოვანია გიორგი მუხაძის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა. მან აღზარდა ათასობით მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა სპეციალისტი, ათობით მეცნიერი მეშაკი, ამკამად რომ ეწევიან შემოქმედებითი კვლევითსა და პედაგოგიურ მუშაობას ჩვენს ქვეყანაში.

მის კალამს ეკუთვნის ოცდაათზე მეტი ორიგინალური მეცნიერული შრომა, რომლებმაც ფართო გამოყენება ჰპოვეს დაგეგმარებისა და მშენებლობის პრაქტიკაში.

1947 წელს პროფესორ გ. მუხაძეს ირჩევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად; მრავალი წლის განმავლობაში იგი განაგებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნაგებობათა თეორიისა და სეისმომდგრადობის განყოფილებას.

მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად გიორგი მუხაძე ეწეოდა თვალსაჩინო საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და თბილისის საქალაქო საბჭოს არაერთი მოწვევის დეპუტატი.

იგი ყოველთვის აქტიურად მოღვაწეობდა რეფერატორად. 1941 [illegible] სამეურნეო-ადმინისტრაციული მშენებლობის [illegible] საქართველოს [illegible] პროფესორ გიორგი მუხაძე [illegible] მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო შემდგომ წლებში მრეწველობისა და მეცნიერების განვითარების საობიექტო მიდწეული წარმატებებისათვის, აგრეთვე ახალგაზრდა სპეციალისტთა კადრების მომზადების საქმეში წარმატებებისათვის დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით და შრომის წითელი დროშის ორი ორდენით.

მთელი თავისი მდიდარი შრომითი სიცოცხლე როგორც მოწინავე და ნიჭიერი ინჟინერ-მშენებლისა და მეცნიერისა მან მთლიანად შესწირა ჩვენს დიად საყვარელ სამშობლოს.

მისი სახელი მუდმივად დარჩება საქართველოს სსრ სამშენებლო საქმის და სამშენებლო მეცნიერების სახელოვან მატიანეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი;
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი;
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი;
სამშენებლო მექანიკისა და სეისმომდგრადობის ინსტიტუტი

ПРОФЕСОРИ ГИОРГИ МУХАДЗЕ

ბ ა ნ ი. ცნობილ პროფესორ გიორგი მიხეილის-ძე მუხაძე, საქართველოში უმაღლესი ტექნიკური განათლების ერთ-ერთი ფუძემდებელი, საქართველოს ს. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასალათა გამძლეობის და დრეკადობის თეორიის კათედრის გამგე, მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

ივი დაიბადა 1886 წელს. 1912 წლიდან, ჯერ კიდევ როგორც სტუდენტი ტომსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა, ორი წლის განმავლობაში მუშაობდა ცემბრირის რიგინგზაზე ხიდების და სხვა ხელოვნურ ნაგებობათა გადაკეთება-აღდგენაზე.

1916 წლიდან, ინსტიტუტის დამთავრებისას, მუშაობდა საქართველოში ინჟინერ-მშენებლად და არა ერთი პასუხსაგები მშენებლობის აქტიური მონაწილე იყო.

ერთდროულად პროფესორი გიორგი მუხაძე ეწევა ინტენსიურ მეცნიერულ-პედაგოგიურ მოღვაწეობას.

1928 წელს საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მას ენიჭება დოცენტის სამეცნიერო წოდება, ხოლო 1931 წელს — პროფესორისა, ირჩევენ სამშენებლო მექანიკის კათედრის გამგედ და ამ თანამდებობაზე მან დაპყო თავისი სახელოვანი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე.

მნიშვნელოვანია გიორგი მუხაძის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობა. მან აღზარდა ათასობით მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა სპეციალისტი, ათობით მეცნიერი მეშაკი, ამკამად რომ ეწევიან შემოქმედებითი კვლევითსა და პედაგოგიურ მუშაობას ჩვენს ქვეყანაში.

მის კალამს ეკუთვნის ოცდაათზე მეტი ორიგინალური მეცნიერული შრომა, რომლებმაც ფართო გამოყენება ჰპოვეს დაგეგმარებისა და მშენებლობის პრაქტიკაში.

1947 წელს პროფესორ გ. მუხაძეს ირჩევენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად; მრავალი წლის განმავლობაში იგი განაგებდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნაგებობათა თეორიისა და სეისმომდგრადობის განყოფილებას.

მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად გიორგი მუხაძე ეწეოდა თვალსაჩინო საზოგადოებრივ მოღვაწეობას, იყო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი და თბილისის საქალაქო საბჭოს [illegible] მოწვევის დეპუტატი. [illegible] ყოველთვის აქტიურად მოღვაწეობდა [illegible] [illegible] სსრ [illegible] სამშენებლო მრეწველობის მეცნიერულ-ტექნიკური საზოგადოებისა და წევრი მშვიდობის დაცვის [illegible].

1941 [illegible] სამეურნეო-ადმინისტრაციული მშენებლობის [illegible] საქართველოს [illegible] პროფესორ გიორგი მუხაძე [illegible] მეცნიერებისა და ტექნიკის დამსახურებული მოღვაწის წოდება, ხოლო შემდგომ წლებში მრეწველობისა და მეცნიერების განვითარების საობიექტო მიდწეული წარმატებებისათვის, აგრეთვე ახალგაზრდა სპეციალისტთა კადრების მომზადების საქმეში წარმატებებისათვის დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით და შრომის წითელი დროშის ორი ორდენით.

მთელი თავისი მდიდარი შრომითი სიცოცხლე როგორც მოწინავე და ნიჭიერი ინჟინერ-მშენებლისა და მეცნიერისა მან მთლიანად შესწირა ჩვენს დიად საყვარელ სამშობლოს.

მისი სახელი მუდმივად დარჩება საქართველოს სსრ სამშენებლო საქმის და სამშენებლო მეცნიერების სახელოვან მატიანეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტი;
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი;
საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი;
სამშენებლო მექანიკისა და სეისმომდგრადობის ინსტიტუტი

კომუნისტთა ძალა ერთიანობაში

ვეგრძოლოთ იმპერიალიზმს

ჩინეთ-ინდონეზიის კომუნიკე

პეკინი, 7 იანვარი. (საკდესი). აქტუალურად საჭიროა, რომ ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის საკითხი დაუყოვნებლივ გადაიჭრას ბანდუნგის კონფერენციის 10 პრინციპის სულისკვეთებით, ნათქვამია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობათა აქ გავრცელებულ ერთობლივ კომუნიკეში ინდონეზიის პირველი მინისტრის მოადგილისა და საგარეო საქმეთა მინისტრის სუბანდრიოს ყოფნის შესახებ ჩინეთში.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ სუბანდრიოს ყოფნის დროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში გაიმართა ერთი მხრივ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერ ჯოუ ენ-ლაისა და პრემიერის მოადგილის — საგარეო საქმეთა მინისტრ ჩენ ისა და, მეორე მხრივ, დოქტორ სუბანდრიოს შორის საუბრები, რაც მიმდინარეობდა უაღრესად მეგობრულ ატმოსფეროში.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ ჩენ ისა და სუბანდრიოს საერთოდ ჩინეთისა და ინდონეზიის ეკონომიური ურთიერთობის განმტკიცებისა და კერძოდ, ამ ორი ქვეყნის ვაჭრობის საკითხებს. საუბრების დროს ორივე მხარემ მიაღწია ახალ შეთანხმებას ვაჭრობის შესახებ, რაც ხელს შეუწყობს ამ ორი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას.

ინდონეზიის მთავრობა, ნათქვამია კომუნიკეში, კვლავ ადასტურებს, რომ მხარს უჭერს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერი ადგილის აღდგენას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ორივე მხარე აღნიშნულია შემდეგ კომუნიკეში, ადასტურებს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც ყოველი ღონე იხმაროს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის. ორივე მხარე აცხადებს, რომ მსოფლიოს მთელ სხვა პროგრესულ ძალებთან ერთად კვლავაც განუხრელად იბრძოლებენ იმპერიალიზმის, კოლონიალიზმისა და ნეოკოლონიალიზმის ყოველგვარ გამოვლინების წინააღმდეგ.

ორივე მხარემ აღნიშნა, რომ საჭიროა აზიისა და აფრიკის ქვეყნების მეორე კონფერენციის მოწვევა.

ჩინეთ-ცეილონის კომუნიკე

პეკინი, 7 იანვარი. (საკდესი). ჩინეთისა და ცეილონის პრემიერ - მინისტრებს ერთსულოვნად მიაჩნიათ, რომ აზიაფრიკის სოლიდარობის ინტერესებისათვის აქტუალურად საჭიროა, რომ ჩინეთ-ინდოეთის საზღვრის საკითხი დაუყოვნებლივ გადაიჭრას ბანდუნგის კონფერენციის ათი პრინციპის სულისკვეთებით, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ ჩინეთ-ცეილონის ერთობლივ კომუნიკეში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერ — ჯოუ ენ-ლაისა და ცეილონის პრემიერ-მინისტრ ს. ბანდარანაიკეს მოლაპარაკების შესახებ.

პრემიერ-მინისტრებს, აღნიშნულია კომუნიკეში, მიაჩნიათ, რომ მათი მოლაპარაკება ხელს შეუწყობს ჩინეთისა და ინდოეთს შორის წარმოქმნილი სასაზღვრო დავის მშვიდობიან მოწესრიგებას.

იმასთან დაკავშირებით, აღნიშნულია კომუნიკეში, რომ კოლომბოს კონფერენციაზე (აზიისა და აფრიკის ექვსი მუშმრობელი სახელმწიფოს კონფერენცია, რომლის მიზანი იყო ხელი შეეწყო ინდოეთ-ჩინეთის სასაზღვრო კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის. — რედ.) გადაწყვეტილი იქნა ჯერ არ გამოქვეყნდეს კონფერენციის წინადადებანი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის გამოხმაურება ამ წინადადებებზე აგრეთვე მანამ არ გამოქვეყნდება, სანამ ცეილონის პრემიერ-მინისტრი არ განიხილავს ინდოეთის პრემიერ-მინისტრთან ერთად და არ გამოაქვეყნებს ჩინეთისა და ინდოეთის მხარეებთან გამართული მოლაპარაკების შედეგებს.

კომუნიკეში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ჩინეთის პრემიერმა და ცეილონის პრემიერ-მინისტრმა გაუზიარეს ერთმანეთს აზრები მიმდინარე საერთაშორისო საკითხებზე, რომლებიც ურთიერთსაინტერესოა ორივე ქვეყნისთვის, და ცეილონისა და ჩინეთის ურთიერთობის საკითხებზე.

ნერუ: „მიუმხრობლობის პოლიტიკა არ შეიცვლება“

დელი, 6 იანვარი. (საკდესი). უტარ პრადეშის შტატის დედაქალაქ ლაქნაუში მიტინგებზე გამოსვლისას ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ნერუ მტკიცედ იცავდა სამხედრო ბლოკებისადმი მიუმხრობლობის პოლიტიკას, რომელსაც ინდოეთის მთავრობა ახორციელებს. ამ პოლიტიკას, თქვა მან, წარმატება მოჰყვა და იგი არ შეიცვლება. ნერუმ განსაკუთრებით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს მიუმხრობლობის პოლიტიკას, რომლითაც ინდოეთის მთავრობა ხელმძღვანელობს. მიუმხრობლობის პოლიტიკამ კარგი სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას და ჩვენ უარს არ ვიტყვით მასზე, აღნიშნა მან, ნერუმ გააკრიტიკა ინდოეთის ის პოლიტიკური ლიდერები და პოლიტიკური პარტიები, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ მიუმხრობლობის პოლიტიკას და მოითხოვენ, რომ ინდოეთმა უარყოს საგარეო პოლიტიკის ეს კურსი. ეს ბრძნული ნაბიჯი არ იქნებოდა, განაცხადა ნერუმ თავის იმ კრიტიკოსთა პასუხად, რომლებიც რეაქციის ბანაკში არიან. მან აღნიშნა, რომ იმ პირებს, რომელთაც სურთ ინდოეთი ამერიკის შეერთებული შტატების ან სხვა ქვეყნის მიმართ დამოკიდებულ მდგომარეობაში ჩააყენონ, არასოდეს არ ეკადთ და ვერ დაიკავებენ გონივრულ პოზიციებს.

პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ამჟამად მსოფლიოში ვითარდება სადაო პრობლემების მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკების გზით მოწესრიგების ტენდენცია, იგი მხურვალედ მიესალმა ასეთ ტენდენციას საერთაშორისო ურთიერთობაში.

ნერუ გადაჭრით წინააღუდგა რეაქციის ცდას, რომ ინდოეთის თავდაცვა და შეიარაღებული ძალები უცხოეთის ქვეყნებს მიეხდოს. ზოგიერთ პოლიტიკურ პარტიას და ზოგიერთ „ვეტერან-ლიდერს“, თქვა პრემიერ-მინისტრმა, სურს, რომ ინდოეთი დასავლეთის სამხედრო ბლოკებში შევიდეს. მაგრამ ის საკითხი, რომ ინდოეთმა ხელი აიღოს ბლოკებისადმი მიუმხრობლობის პოლიტიკაზე, არც წამოჭრილა და არც წამოიჭრება, ხაზი გაუსვა მან.

დელი, 7 იანვარი. (საკდესი). პრემიერ-მინისტრი ნერუ განაგრძობს მოგზაურობას ინდოეთში. გუშინ მან სიტყვები წარმოთქვა მასობრივ მიტინგებზე თავის მშობლიურ ქალაქ ალაჰაბადში (უტარ - პრადეშის შტატი), მან კვლავ მკვეთრად დაგმო რეაქციული ძალები, რომლებიც დაჟინებით მოითხოვენ უარისთქმას სამხედრო ბლოკებისადმი მიუმხრობლობის პოლიტიკაზე. იმის მოხებით, რომ ინდოეთი ახორციელებს მიუმხრობლობის პოლიტიკას, ხაზგასმით აღნიშნა ნერუმ, იგი დიდნიშვნელოვან როლს ასრულებს ომის თავიდან აცილების საქმეში. თუ ჩვენ შეგვალთ ერთ-ერთ ბლოკში, ვერაფერს ვერ განვახორციელებთ მსოფლიო ომის თავიდან აცილებისათვის.

ნერუ შეეხო ინდოეთ-ჩინეთის სასაზღვრო კონფლიქტს და დაადასტურა, რომ მის მთავრობას სურს მშვიდობიანი გზით მოაწესრიგოს სასაზღვრო დავა აზიის ორ დიდ სახელმწიფოს შორის. მაგრამ მან ამასთანავე აღნიშნა, რომ ინდოეთი მზად არის გამართოს მოლაპარაკება ჩინეთთან სტატუს-კვოს აღდგენის საფუძველზე, რომელიც არსებობდა ორი ქვეყნის სასაზღვარზე გასული წლის სექტემბრისათვის. ნერუმ კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინდოეთის მთავრობა მზად არის გარკვეულ ვითარებაში განიხილოს ეკითხი ჰაგის საერთაშორისო სასამართლოსთვის სადავო სასაზღვრო საკითხის გადაცემის შესახებ.

„თავისუფალ სამყაროში“

ნიუ-იორკი, 7 იანვარი. (საკდესი). ჯეიმს მერედიტი — ოქსფორდის უნივერსიტეტის (მისისიპის შტატი) ერთადერთი ხაზი სტუდენტი — თეთრკანიან რასისტთა განუწყვეტელი პროვოკაციების გამო იძულებული გახდა დროებით შეწყვეტოს სწავლა.

დღეს, იუწყებიან ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები, მერედიტმა საერთო საცხოვრებელში ძიძიწეა კორესპონდენტები და გამოუცხადა მათ, რომ გადაწყვიტა დატოვოს უნივერსიტეტი მეორე (გაზაფხლის) სასწავლო სემესტრის პერიოდში. მაგრამ მან დასძინა, რომ მისი მიზანი უნიფიბერტია — დამთავროს ოქსფორდის უნივერსიტეტი.

„კომისია ფამლავს ცხოვრებას“

ნიუ-იორკი, 8 იანვარი. (საკდესი). ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტის ასზე მეტმა პროფესორმა და მასწავლებელმა მოაწერა ხელი მემორიას ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის წევრებისადმი. ისინი მოუწოდებენ მათ გააუქმონ ყმაღაღებული კომისია — ანტიამერიკული საქმიანობის გამოძიების კომისია.

„კომისიამ,— ნათქვამია მიმართვაში,— შექმნა უნდობლობისა და შიშის ატმოსფერო, რამაც მოწამლა ჩვენი ინტელექტუალური ცხოვრება“.

ნიუ-იორკის ჩაიდა სსრ კავშირის მუდმივი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში

ნ. ტ. ფედორენკო.

□ **პეკინიდან** ხანჯოუში გაემგზავრნენ ცეილონის პრემიერ-მინისტრი ს. ბანდარანაიკე და ინდონეზიის პირველი მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი სუბანდრიო. ჩინეთში მოგზაურობის დროს ს. ბანდარანაიკესა და სუბანდრიოს ახლავან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ჩენ ი.

□ **6 იანვარს** ნიუიორკელებმა მიიღეს ახალი გაზეთი. გაზეთს ეწოდება „ნიუ-იორკ სტანდარდი“. იგი გამოვა ყოველდღიურად 400.000 ცალი, სანამ არ დამთავრდება ნიუ-იორკის ცხრა გაზეთის მბეჭდავ მუშათა გაფიცვა, რომელიც ერთი თვის წინათ დაიწყო.

□ **კაიროში** ჩავიდა ალჟირის ეროვნული განთავისუფლების ფრონტის პოლიტბიუროს გენერალური მდივანი მოჰამედ ჰიდერი.

□ **ტოკიოს** 10 მილიონი მცხოვრები განიცდის წყლის ნაკლებობას. ქალაქის სამ მთავარ წყალსაცავში წყლის მარაგი მნიშვნელოვნად შემცირდა, მარაგი 36 პროცენტით დაბალია იმ დონეზე, რომელიც ქალაქის ნორმალური წყალმომარაგებისათვის არის საჭირო. ამასთან დაკავშირებით ქალაქის ხელისუფლებმა გადაწყვიტეს შეზღუდონ ან ნაწილობრივ შეწყვიტონ იაპონიის დედაქალაქის მთელი რიგი რაიონების წყლით მომარაგება.

□ **საფრანგეთის** ქალაქ ლესპარის (ირონდის დეპარტამენტი) მახლობლად დაიმსხვრა საფრანგეთის „ესტანდარ-4“ ტიპის სამხედრო თვითმფრინავი. პილოტი პარაშუტით გადმოხტა და გადარჩა.

□ **1962 წელს** დანიაში ავარიების შედეგად გზებზე დაიღუპა 579 კაცი. მძიმედ დაშავდა 11.095, ხოლო მსუბუქად — 11.251 კაცი.

□ **ტოკიო**. ცივი ქარი და ქარბუქი დაატყდა თავს იაპონიის კუნძულებს. ნამქერისა და ზვავის შედეგად პარალიზებულია რკინიგზისა და საავტომობილო მოძრაობა ხონსიუს კუნძულის მეტ ნაწილში. არის ადამიანის მსხვერპლი.

(საკდესი).

უცხოეთის ქრონიკა

ნიუ-იორკი, 7 იანვარი. (საკდესი). კონგოს ცენტრალური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა სირილ ადულამ დღეს წამოაყენა კონგოსთან კატანგის უსწრაფესი შეერთების ახალი გეგმა.

ამ გეგმის თანახმად საზოგადოებრივ სამუშაოთა სამინისტროს გენერალური მდივანი ფრანსუა კალალა, როგორც მეთაური ადმინისტრაციული მისიისა, მიემგზავრება ელიზაბეტვილს, რათა დროებით იკისროს პროვინციის მართვა.

კატანგელი მოხელეები და უცხოელი მოსამსახურენი დარჩებიან თავიანთ თანამდებობებზე, თუ დადებენ კონგოს ცენტრალური მთავრობისადმი ერთგულების ფიცს. ჩომბეს ჟანდარმები, რომლებიც მეუერთდებიან კონგოს შეიარაღებულ ძალებს გარკვეულ ვადამდე, რომელსაც მოგვიანებით დაწესებს თავდაცვის სამინისტრო, შეინარჩუნებენ თავიანთ წოდებებს.

კონგოს კანონმდებლობა უცხოელთა ვალუტისა და საგარეო ვაჭრობის შესახებ კვლავაც იქნება გამოყენებული კატანგაში ისევე, როგორც ყოველ სხვა პროვინციაში.

ადულას მთავრობამ მიმართა კონგოს საკალუტო კომისიას, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაცია ეხმარება, და სთხოვა მას დანიშნოს კატანგის — ბანკის დირექტორი. ამ ბანკის მოსამსახურენი რჩებიან თავიანთ ადგილებზე. მთავრობამ სთხოვა საერთაშორისო საკალუტო ფონდს გაგზავნოს ექსპერტთა ჯგუფი იმისათვის, რომ დახმარება გაუწიოს საკალუტო კომისიის მუშაობას.

კატანგის ფულის ნიშნები აღარ იქნება მიმოქცევაში, მათ ნაცვლად გამოუშვებენ კონგოს ფულის ნიშნებს.

როგორც ასოშიეიტედ პრესის საააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, ადგილობრივი მიმომხილველნი კონგოს მთავრობის ახალ გეგმას აფასებენ როგორც მისწრაფებას — გათვალისწინონ კატანგის მოსახლეობის სურვილები. ამავე დროს მიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ ცენტრალური მთავრობის კონტროლი კატანგის ვალუტისადმი იმას ნიშნავს, რომ უცხოელთა ნაწილი იძულებული იქნება დატოვოს ეს ქვეყანა, რადგანაც ჩომბეს რეჟიმი საშუალებას აძლევდა მათ გაეგზავნათ საზღვარგარეთ თავიანთი შემოსავლის ნახევარი.

ჩეხოსლოვაკიის კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

პრაღა, 8 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ პლენუმზე ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ დანიშნეს — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. გენდრიხი, ხოლო კომისიის მდივნად — ვ. სვობოდა. იუწყება ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო. პლენუმმა დაამტკიცა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის სასოფლო-სამეურნეო წარმოების მართვის საკითხთა კომისიის შემადგენლობა.

პარტიის დაშლის კურსი

მონტევიდეო, 8 იანვარი. (საკდესი). ურუგვაის სოციალისტური პარტიის ანტიკომუნისტური პოლიტიკა იმას იწვევს, რომ სულ უფრო მცირდება ამ პარტიის გავლენა ხალხთა მასებში. პარლამენტის არჩევნებში, რომელიც გასული წლის დამლევს გაიმართა, სოციალისტების მიერ შექმნილმა პოლიტიკურ პარტიათა ბლოკმა „ეროვნულ-სახალხო კავშირმა“, რომელშიც კომუნისტები არ იყვნენ, სერიოზული მარცხი განიცადა.

ურუგვაის ორი უხუცესი პოლიტიკური მოღვაწე ემილიო ფრუგონი და პარლამენტის დეპუტატი არტეტი დუბრა ამას წინათ გამოვიდა სოციალისტური პარტიის რიგებიდან. პარტიის ახლანდელი ხელმძღვანელობისათვის გაგზავნილ წერილში ემილიო ფრუგონიმ — პარტიის დამაარსებელმა და მისმა ყოფილმა გენერალურმა მდივანმა — განაცხადა, რომ აღარ შეუძლია იყოს იმ პარტიის რიგებში, რომელმაც გადაუხვია თავის თავდაპირველ იდეალებს, გაითქვიფა სხვა პოლიტიკურ ჯგუფებში და ამიტომ დაკარგა თავისი ამომრჩეველები და წარმომადგენელები პარლამენტში. „ყველაფერი თავდაყრა უნდა დავიწყოთ“, — ასე მიაჩნია ამ ყოფილ სოციალისტს, რომელსაც 53 წლის პარტიული სტაჟი და № 1 პარტიული ბილეთი აქვს.

ძალთა დღე ირანში

პარიზი, 7 იანვარი. (საკდესი). ირან

კ. სტანისლავსკის იუბილესათვის

მომდინარე წლის იანვარში სრულდება საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დიდი რეფორმატორის, გენიალური რეჟისორის, მრავალმხრივი მსახიობისა და თეატრალური პედაგოგის **კონსტანტინე სტანისლავსკის** დაბადების 100 წლისთავი. მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ამ სიუბილეო თარიღის ფართოდ აღნიშვნისათვის იმზადებიან ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებიც.

ამ დღეებში გაიმართა კ. ს. სტანისლავსკის იუბილეს მომწყობი რესპუბლიკური კომიტეტის სხდომა, რომელზეც განხილულ და დამტკიცებულ იქნა ღონისძიებანი საქართველოს სს რესპუბლიკაში დიდი რეჟისორის სიუბილეო დღეების გამართვასთან დაკავშირებით.

12 იანვარს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება დიდი სიუბილეო სალამო. მოხსენებით კონსტანტინე სტანისლავსკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გამოვა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი ეთერ გუგუშვილი.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება მშვიდობის დაცვის რესპუბლიკურ კომიტეტთან და თბილისის თეატრალურ ინსტიტუტთან ერთად ჩაატარებს სიუბილეო-სამეცნიერო სესიას, წაკითხული იქნება შემდეგი მოხსენებები: „კ. სტანისლავსკი როლი და მნიშვნელობა მსოფლიო სასცენო ხელოვნების განვითარებისათვის“ (დ. ალექსიძე), „კ. სტანისლავსკი და ქართული თეატრი“ (დ. ჯანელიძე), „კ. სტანისლავსკი მსახიობის ეთიკის შესახებ“ (ა. ხორავა), „კ. სტანისლავსკის სისტემა“ (ნ. ურუშაძე), „კ. სტანისლავსკი — მსახიობი“ (ნ. შალუტაშვილი), „კ. სტანისლავსკი და სასცენო მეტყველება“ (ბ. ნიკოლაიშვილი), „კ. სტანისლავსკი და მუსიკალური თეატრი“ (დ. მჭედლიძე), „კ. სტანისლავსკი როგორც რეჟისორი-აღმზრდელი“ (დ. ანდღულაძე, მოგონება), „მოსკოვის სამხატვრო თეატრის გასტროლები საქართველოში“ (გ. ბუხნიკაშვილი).

საქართველოს თეატრალური საზოგადოების სპეციალური ბრიგადები გასვლით სამეცნიერო სესიებს ჩაატარებენ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში. პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ლექტორები წაიკითხავენ ლექციებსა და მოხსენებებს დიდი რუსი რეჟისორის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

თეატრალურ მუზეუმში მოეწყობა დოკუმენტებისა და ფოტომასალების დიდი გამოფენა თემაზე „კ. სტანისლავსკი და ქართული თეატრი“.

რესპუბლიკის პროფესიულ თეატრებში, კლუბებში და კულტურის სახლებში გაიმართება საიუბილეო საღამოები.

თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე საიუბილეო დღეებში ნახვენები იქნება ფილმები, რომლებიც შექმნილია მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის სპექტაკლებზე.

გამომცემლობა „ნაკადული“ ცალკე წიგნად გამოუშვებს ხელოვნებათმცოდნის **ნ. გურაბანიძის** წიგნს კონსტანტინე სტანისლავსკის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე.

მოსკოვში 17 იანვარს გაიმართება დიდი საიუბილეო საღამო, რომლის საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეული არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტი **ვახტანგ ჭაბუკიანი** და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **ზურაბ კიკალეიშვილი.**

კინო

„**გზა მომავლისა**“ — ასე ჰქვია მოკლემეტრაჟიან ფილმს, რომელიც საქართველოს სსრ ქრონიკალურ-დოკუმენტური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების კინოსტუდიაში შექმნილი. სცენარის ავტორების (გ. ნუცუბიძე, ი. დუბინსკი), რეჟისორის (შ. ჩაგუნავა), ოპერატორის (ლ. არზუმანოვი) სახახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ არ მისდიეს გატკეპნილ გზებს და ორიგინალურად გადაწყვიტეს თემა, რომელიც ჩვენს დღევანდელ ცხოვრებას, ყოველდღიურობას ასახავს.

ფილმში მოთხრობილია ახალგაზრდა ადამიანზე, რომელიც ითლ გზას ეძებდა ცხოვრებაში, ფუქსავატურად ატარებდა დროს, აქეთ-იქით აწყდებოდა, მაგრამ ადამიანების დახმარებით შეიგნო, რომ დღეს საჭიროა შრომა, რომ მხოლოდ შრომით ფასდება ადამიანი. ამ ჭაბუკს ახლა ყველა იცნობს საქართველოში. მაგრამ მისი ბიოგრაფია ბევრმა არ იცოდა, და აი მაყურებლის თვალწინ ისლება კომუნისტური შრომის დამკვრელის, ჭიათურელი მშენებლის თამაზ ვაშაძის ბიოგრაფია.

ამ ფილმის გმირიც თვითონ თამაზია. იგი თავის თავს თამაშობს. კინოაპარატი გვიჩვენებს ადამიანებს, ჭიათურას, მშენებლობის ხარაჩოებში ჩამალულ კედლებს. ყველგან ჩქეფს შრომა, შენდება, იქმნება მომავალი. და გჯერა, თამაზი აუცილებლად უნდა ჩაბმულიყო შრომის ფერხულში, რომელიც მის გარშემოა გაჩაღებული. ფილმის ავტორებმა საინტერესოდ მოგვითხრეს ნამდვილი ამბავი, მოკლედ და დამაჯერებლად დაგვიხატეს თამაზ ვაშაძის ცხოვრებიდან ეპიზოდი, რომელიც თავისი მნიშვნელობით სცილდება ერთი ადამიანის ბიოგრაფიას და აღმზრდელობითს ხასიათს იღებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი დღეები ეკრანზე

რეჟისორმა შ. ჩაგუნავამ გადაიღო აგრეთვე დოკუმენტური ფერადი ფილმი „რიონის ხეობა“ (სცენარი — გ. კარბელაშვილისა, ოპერატორი — ბ. კრეესი). ავტომანქანა „კოლხიდით“ ვიწყებთ მოგზაურობას მდინარე რიონის სათავიდან. მაღლა მთებიდან ვეშვებით დაბლა, კადრები კადრებს ცვლიან, ირგვლივ სიცოცხლეა — ლამაზი, ბარაქიანი. მწვანე მდელოები, თოვლით დაფარული კავკასიონის მწვერვალები, ადამიანები, სოფლები — ყველაფრის დაჭერას კი ჩვენებას ასწრებს კინოკამერა. გზიბლავთ რიონჰესის ტურბინები, კურორტი წყალტუბო, სანატორიუმები, საქართველოს მეორე ინდუსტრიული ცენტრი — ქუთაისი, ქუთაისის ავტოქარხნის კონვეიერიდან ახლად ჩამოსული მანქანები.

„კოლხიდა“ გზას განაგრძობს. მდინარე რიონმა გახვაკა და მდორედ მიედინება, კეცავს კილომეტრებს. აი ფოთიც, ნავსადგურის გიგანტური ამწეები, შავი ზღვა.

როგორც „გზა მომავლისა“, ისე „რიონის ხეობა“ დამდგმელი კოლექტივების წარმატებაზე მეტყველებს. ფილმის ავტორებმა საჭირო და საინტერესო დოკუმენტური ფილმები შექმნეს თანამედროვე თემაზე, ორიგინალურად გადაწყვიტეს მათ წინ მდგომი ამოცანა.

ო. ლოლრთქიფანიძე.

სურათებზე: კადრები ფილმიდან „გზა მომავლისა“ (ზევით პირველი) და „რიონის ხეობა“.

33 საუკეთესო

გუშინ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სია 1962 წლის სეზონის მიხედვით.

მეკარეები — 1. ლ. იაშინი („დინამო“, მოსკოვი), 2. ვ. მასლაჩენკო („სპარტაკი“, მოსკოვი), 3. ს. კოტიკაძე („დინამო“, თბილისი);

მარჯვენა მცველები — 1. ე. დუბინსკი (ცსკა, მოსკოვი), 2. გ. ლოგოფეტი („სპარტაკი“, მოსკოვი), 3. ვ. სემენოვი (ცსკა, მოსკოვი);

მარჯვენა ცენტრალური მცველები — 1. ა. მასლიონკინი („სპარტაკი“, მოსკოვი), 2. გ. რიაბოვი („დინამო“, მოსკოვი), 3. ვ. ტურიანჩიკი („დინამო“, კიევი);

მარცხენა ცენტრალური მცველები — 1. გ. ჩოხელი („დინამო“, თბილისი), 2. ა. შესტერნიოვი (ცსკა, მოსკოვი), 3. ვ. დიკარევი („სპარტაკი“, მოსკოვი);

მარცხენა მცველები — 1. ა. კრუტიკოვი („სპარტაკი“, მოსკოვი), 2. ვ. დანილოვი („ზენიტი“, ლენინგრადი), 3. დ. ბაგრიჩი (ცსკა, მოსკოვი);

მარჯვენა ნახევარმცველები — 1. ს. ზავიდონოვი („ზენიტი“, ლენინგრადი), 2. ი. საბო („დინამო“, კიევი), 3. გ. სიჭინავა („დინამო“, თბილისი);

მარცხენა ნახევარმცველები — 1. ი. ნეტო („სპარტაკი“, მოსკოვი), 2. ნ. მანოშინი („ტორპედო“, მოსკოვი), 3. შ. იამანიძე („დინამო“, თბილისი);

მარჯვენა გარემარბები — 1. ს. მეტრეველი („ტორპედო“, მოსკოვი), 2. ი. ჩისლენკო („დინამო“, მოსკოვი), 3. ო. ბაზილევიჩი („დინამო“, კიევი);

მარჯვენა ცენტრალური თავდამსხმელები — 1. ვ. იგანოვი („ტორპედო“, მოსკოვი), 2. ვ. სერებრიანიკოვი („დინამო“, კიევი), 3. ი. სევიდოვი („სპარტაკი“, მოსკოვი);

მარცხენა ცენტრალური თავდამსხმელები — 1. ვ. პონედელნიკი (ცსკა, დონის როსტოვი), 2. ვ. გუსაროვი („ტორპედო“, მოსკოვი), 3. ვ. კანევსკი („დინამო“, კიევი);

მარცხენა გარემარბები — 1. მ. მესხი („დინამო“, თბილისი), 2. ვ. ლობანოვსკი („დინამო“, კიევი), 3. გ. ჰუსაინოვი („სპარტაკი“, მოსკოვი).

ს. ლალომ-გიგანტის ტრასაზე

ტრადიციული ტურნირი ყაზახეთის მაღალმთიან ჩიმბულაკში სსრ კავშირისა და შეეიკარიის საჭთო მოთხილამურეთა შორის გრძელდება.

გუშინდელი ასპარეზობის პროგრამაში შედიოდა სლალომ-გიგანტი ვაჟთა და ქალთათვის. ქალთა შორის უძლიერესი იყო ვ. ვოლკოვა, ვაჟთა შორის — ვ. ტალანოვი.

სპორტული ქრონიკა

☐ **ჩრდილოეთის** ქვეყნების მოცეგურავეთა შეჯიბრებაზე, რომელიც ქ. ბერგენში (ნორვეგია) მიმდინარეობდა მცირე მრავალეტაპში გამარჯვება ბოიკოვა მსოფლიოს ეკს-ჩემპიონმა, ნორვეგიელმა მოიგეგურავემ კნუტ იუჰანსენისმა — 184, 157 ქულა. 3.000 მეტრზე იუჰანსენმა დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი — 4 წუთი და 37,8 წამი. შეედმა ივარ ნილსონმა 180,527 ქულით მეორე ადგილი დაიკავა.

☐ **გიუოფსაოფენი.** (ავსტრია). მსოფლიო ჩემპიონი, 24 წლის ნორვეგიელი სპორტსმენი ტორალფ ენგანი გამარჯვებული გამოვიდა ოთხი ტრამპლინის მეთერთმეტე, ტრადიციულ ტურნირში. იგი უძლიერესი აღმოჩნდა ობერსდორფის, ინსბრუკისა და გარმიშ-პარტენკირხენის ტრამპლინებზე, ბიშოფსჰოფენში კი მეოთხე იყო.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე **ობოლენსკი** დანიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ელექტროტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

„მრუდე კიბე“

გორი. (საკ. კორ.). გორის გ. ერისთავის სახელობის სახელმწიფო თეატრმა მაყურებელს პრემიერად უჩვენა დრამატურგ ლ. მილორავას კომედია „მრუდე კიბე“, რომელიც დადგა თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. აბრამიშვილმა, მხატვრულად გაფორმა სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა დ. თავაძემ, მუსიკა დაწერა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კომპოზიტორმა ს. მირიანაშვილმა.

საუკუნეთა მიღმა

ლაოკოონის სკულპტურის გარშემო

ამ რამდენიმე ხნის წინათ მსოფლიო პრესას მოედო ცნობა ანტიკური ხელოვნების ბრწყინვალე ძეგლის ლაოკოონის ორიგინალის აღმოჩენის შესახებ.

ლაოკოონი ბერძნული მითოლოგიური გმირია. მის შესახებ არსებობს ასეთი ვადმოცემა: ლაოკოონი, ღმერთების წინააღმდეგობის მიუხედავად, აფრთხილებდა ტროადელებს, ბერძნების მიერ დატოვებული ხის ცხენი ტროადაში არ შეიტანოთო, მაგრამ ტროადელებმა არ შეისმინეს მისი სიტყვები და დამარცხდნენ. განრისხებულმა აპოლონმა არ დაინდო თავისი ქურუმი და სასტიკად დასაჯა იგი. როცა ლაოკოონი და მისი ორი ვაჟი გართული იყვნენ ზღვათა ღმერთის პოსეიდონისათვის მსხვერპლის შეწირვის ცერემონიით, აპოლონმა მას ორი დიდი გველი გამოუგზავნა და ამ ქვეწარმავლებმა სასტიკი წამებით დაახრჩეს ლაოკოონი და მისი ორი ვაჟი.

ლაოკოონის ტრაგედია შესანიშნავად ამიტყველა თავის პოემაში რომაელმა პოეტმა ვირგილიუმმა, მაგრამ ლაოკოონის უკვდავება, მისი ლეგენდის ყველაზე ბრწყინვალე გადმოცემა შეძლეს როდოსელმა მოქანდაკეებმა, აგესანდრამ, აფინედორმა და პოლოდორმა, რომლებიც ცხოვრობდნენ I საუკუნეში ჩვენს ერამდე.

როგორც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ჯიბლაძე აღნიშნავს თავის წიგნში „ესთეტიკური თეორიის საკითხები“, როდოსელი მოქანდაკეების გენიალური ქმნილება, ჩანს, იმპერატორ ტიტუსის საკუთრებად იქცა, ვინაიდან 15 საუკუნის შემდეგ — 1506 წელს იგი უპოკუნიათ ხსენებული იმპერატორის რომის სასახლეში, ამ სასახლის სარდაფში.

ამჟამად ხელოვნების ეს უბრწყინვალესი ძეგლი დგას ვატიკანის მუზეუმში.

ლაოკოონის ძეგლით მსოფლიო პრესის დაინტერესება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ ამ რამდენიმე ხნის წინათ ინჟინერმა ერნო ბალანტემ ტირენის ზღვის ნაპირზე მდებარე პატარა სოფელ სპერლონგში გათხრების დროს აღმოაჩინა ანტიკური ხანის სკულპტურა. მან ამის შესახებ აცნობა რომში. ხელოვნების ძეგლთა სამმართველოს იტალიის უმველესი ძეგლების საუკეთესო მცოდნის პროფესორ იაკოპისა და სხვა სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო აღმოჩენილი სკულპტურის მასალამ. ამ მარმარილოს ჭერნდა კავშირი როდოსელი მოქანდაკეების მიერ გამოყენებულ მარმარილოსთან. ამასთანავე მათ ქანდაკებაზე ამოიკითხეს წარწერა და ისინი დაუკავშირეს აფინედორის, აგესანდრასა და პოლოდორის სახელებს.

თუმცა იაკობი აღნიშნავდა, რომ სანამ არ მოხდება ქანდაკების ფრაგმენტების რესტავრაცია, ნაადრევია რაიმე დასკვნების გამოტანაო, მაგრამ არ კარგადაც იმედს, რომ მის წინაშე იყო ანტიკური შედევრის — ლაოკოონის ორიგინალი.

ამ ცნობის გამოქვეყნებამ მსოფლიო ხელოვნებათმცოდნეებში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია... ქართველმა პროფესორმა გ. ჯიბლაძემ ნაადრევად მიიჩნია პროფესორ იაკობის აღფრთოვანება და თავის წიგნში „ესთეტიკური თეორიის საკითხები“ სქოლიოში გაიკეთა შენიშვნა, აღმოჩენილი სკულპტურა არ შეიძლება ლაოკოონის ორიგინალი იყოსო. საკმარისია ამ მითის გაკარწყლებისათვის,— წერს იგი, — თუნდაც იმის გახსენება, რომ შეუძლებელია ლაოკოონის ორიგინალი სოფელში ყოფილიყო, ხოლო იმპერატორ ტიტუსა თავის სასახლეში ასლი ჰქონოდეს.

ამავე ხანებში იტალიიდან საქართველოს ეწვია კულტურის მუშაკთა დელეგაცია. მათ შორის იყვნენ ხელოვნებათმცოდნეები. კურძოდ, პროფესორი ლუიჯი ლოტი. დელეგაცია შეხვდა ჩვენი რესპუბლიკის წარჩინებულებს. ისინი ეცნობოდნენ საქართველოს კულტურის ისტორიას. ერთ-ერთი საუბრის დროს, რომელსაც ესწრებოდა გ. ჯიბლაძე, გაიმართა მსჯელობა ანტიკურ ძეგლებზე, ხელოვნების უბრწყინვალეს ნიმუშებზე. როცა ლაპარაკი ჩამოვარდა სპერლონგში გათხრების დროს აღმოჩენილი ძეგლის კავშირზე ლაოკოონის ორიგინალთან, ქართველმა პროფესორმა გაუსიარა მათ თავისი აზრი ამ საკითხზე.

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ პროფესორმა ლუიჯი ლოტიმ წერილი გამოუგზავნა აკადემიკოს ჯიბლაძეს, სადაც აღნიშნავს თავის შთაბეჭდილებას საქართველოში გატარებულ დღეებზე, იგონებს შეხვედრებს ქართველ მეცნიერებთან, მათთან საუბარს.

„მე ყოველთვის მემახსოვრება თბილისში გატარებული დღეები, — წერს იგი, — ყოველთვის დამრჩება საუკეთესო შთაბეჭდილება თბილისზე, საქართველოზე, მის ხალხზე, ხელოვნებაზე“.

წერილთან ერთად იგი ქართველ მეცნიერს უგზავნის ჯულიო იაკობის წიგნს „სპერლონგში წარმოებული გათხრების შესახებ“. წიგნში აღნიშნულია, რომ სპერლონგში გათხრების დროს აღმოჩენილ ქანდაკებებს არავითარი კავშირი არა აქვთ ლაოკოონთან და რომ ისინი სულ სხვა ავტორებსა და სხვა დროს მიეკუთვნება.

ლ. ხუბულური.



სურათზე: სკულპტურული ჯგუფი „ლაოკოონი“, შესრულებული როდოსელი მოქანდაკეების მიერ.

ორი პეიზაჟი

გაგრა, ბაკურიანი, საქართველოს ამ ერთი გეოგრაფიული წერტილიდან მეორემდე დიდი მანძილი არ არის. მაგრამ რაოდენ დიდია განსხვავება ჰაერით, ლანდშაფტით. ერთის, ყვლისა და ბაერის ტემპერატურაზე ნათლად მეტყველებს სურათი ზამთარ. ეს გზამოსატანია თვალწარმტაცი ზღვის პეიზაჟი, რომელსაც ბაოჩარი მთები, გადმოსცურებენ. კლაუზ ჩელუსკინელების სახელობის სანატორიუმის დამსვენებლები არიან, ბანაგენ ამ შუა ზამთარში ზღვის ტალღებში, ტაბებიან მზის სხივებით.

ამ ფოტოსურათის მიღების დღესვე მოვიდა რედაქციაში მეორე სურათიც, აი, მარჯვნივ მოთხილამურე რომ არის გამოსახული. ეს უკვე ბაკურიანის პეიზაჟია. ფაკიზი თოვლის სამოსელში გახვეულა ჩვენი ლამაზი კოხტა გორა. ამიტომაც იზიდავს იგი ჩვენს მოთხილამურეებს. აქ სავარჯიშოდ მოსულა ნიბაყოფლოგიური სასპორტო საზოგადოება „ბურევესტნიკის“ სამთო-მოთხილამურეთა ნაკრები გუნდი. ამ გუნდის ფოტოა ამ სურათზე გამოსახული ანზორ დადვანი, სლალომის ტრასაზე.

ყველგან ჰკოვეებენ ადამიანები დასასვენებელ ადგილს ზღვის, მთის, თოვლისა და მზის ქვეყანაში.

ახალი საბავშვო ბაღები

ქუთაისი. (საკ. კორ.). ამ დღეებში აქ დამთავრდა ორი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობა. ერთი ნინოშვილის ქუჩაზეა, იგი ორსართულიანია, აქვს სააღმზრდელო და საძინებელი კორპუსები, საექიმო კაბინეტი, სათამაშო ოთახები და გათვალისწინებულია 135 ბავშვისათვის. მეორე აიგო ქალაქის გარეუბანში — ევდოშვილის ქუჩაზე.

ახლა ქუთაისში ოცდაბუთზე მეტი საბავშვო ბაღია.

დათვთან შეგმა

მახარაძე. (საკ. კორ.). სოფელ ხევის ბუმბერაზ მთებში ბევრი ნადირი ბინადრობს, მათ შორის უამრავი დათვი. ამ დღეებში ახალგაზრდა მონადირე ი. ელიაშვილი ნადირობისას პირისპირ შეება ვეებერთელა დათვს. ახალბედა მონადირემ შეძლო წუთით დათვის ბრმყალებიდან თავის დაღწევა და თოფის მომარჯვება. ეს ყველაფერი ელვისებურად მოხდა. დაიჭექა თოფმა და შუბლგახვრეტილი მხეცი უსულოდ დაეცა.

მოკლული დათვი 120 კილოგრამს იწონიდა.

რაკეტების აღმოჩენა და თვალთვალი

უცხოეთის პრესის მასალების მიხედვით

თანამედროვე საკონტინენტთაშორისო ბალისტიკური რაკეტების ფრენის სიშორე 10000 კილომეტრზე მეტია, მაქსიმალური სიჩქარე 7600-მდე მეტრი წამში და ტრაექტორიის სიმაღლე დაახლოებით 1300 კილომეტრი. მანძილი მოსკოვიდან ნიუ-იორკამდე რაკეტას შეუძლია დაფაროს 30 წუთში.

შეიძლება თუ არა ასეთი რაკეტების გაშვების აღმოჩენა და მათი ფრენის თვალთვალი?

მათი დაჭერისათვის რა დრო შეიძლება ჰქონდეს თავდამცველ მხარეს?

განვიხილოთ რაკეტების აღმოჩენისა და ფრენისას თვალთვალის საშუალებანი, რომლებიც ამჟამად არსებობს.

რაკეტების აღმოჩენის ყველა სისტემის ძირითადი დანიშნულებაა თავდასხმის უცვლობის ფაქტორის მინიმუმამდე დაყვანა, ხოლო თვალთვალის სისტემებისა — მოწინააღმდეგის რაკეტების ფრენის ტრაექტორიის გამორკვევა. პირველთან უნდა უზრუნველყოს საკმაო დრო იმისათვის, რომ მოსახლეობამ თავშესაფრებში შესვლა მოასწროს და მომზადებულ იქნას წინააღმდეგობის გაწევის საშუალებანი, მეორემ — რაკეტების დაჭერა.

მიმფრინავი რაკეტის აღმოსაჩენად საჭიროა გამოიყოს იგი გარემო ფონზე. ამისათვის შეიძლება საჯგუფლობა სხვადასხვა ნიშნით, რომლებსაც სამ ჯგუფად ჰყოფენ.

პირველ ჯგუფს ეკუთვნის ნიშნები, დამყარებული რაკეტის მიერ ენერგიის (სინათლის, ბეგრული ან ელექტრომაგნიტური ენერგიის) არეკვლაზე; მეორეს — თვით რაკეტის მიერ ენერგიის (სითბური, ბირთვული, ელექტრომაგნიტური ენერგიის) გამოსხივების ნიშნები; მესამე ჯგუფს — ნიშნები, რომლებიც დაკავშირებულია იმ გარემოს აგზნებასთან, რომელშიც რაკეტა მიფრინავს (დარტყმითი ტალღები, იონიზებული კვალი, დედამიწის მაგნეტიზმის არეა დამახინჯება).

მაგრამ ამ ნიშნების მეტი ნაწილი არ შეიძლება გამოყენებულ იქნას აღმოჩენის, მით უფრო შორს აღმოჩენის სისტემაში. პირველი ჯგუფის ნიშნებიდან პრაქტიკულად შეიძლება გამოყენებულ იქნას სინათლე და რადიოტალღები, რომლებსაც აღნუსხავენ ტელესკოპები და რადიოლოკაციური სადგურები. მეორე ჯგუფის ნიშნების დაჭერა პრინციპულად შეიძლება ინფრაწითელი ტექნიკის საშუალებების და რაკეტის ძრავის მუშაობისას წარმოქმნილი ჭავლის ელექტრომაგნიტურ გამოსხივებათა მიმღები სადგურების გამოყენებით. ცნობებს ასეთი სადგურების პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობის შესახებ ჯერჯერობით მეტად ზოგადი ხასიათი აქვს. რაც შეეხება მესამე ჯგუფის ნიშნებს, ფიქრობენ, რომ ისინი საეჭვოა გამოდგნენ შორს აღმოჩენის სისტემის შექმნის საფუძვლად.

აღმოჩენის თანამედროვე ნაშუალებათა უმრავლესობა იმის შესაძლებლობას არ იძლევა, რომ რაკეტა შემჩნეულ იქნას პირდაპირი ხილვადობის ფარგლებს გარეთ. იმიტომ იმ რაკეტის აღმოჩენა, რომლის ფრენის სიშორეა 1600 კილომეტრი, შეიძლება 1440 კილომეტრ მანძილზე, ხოლო იმ რაკეტისა, რომლის ფრენის სიშორეა 8000 კილომეტრი, — მხოლოდ 3.520 კილომეტრ მანძილზე. უფრო ადრე აღმოჩენის უზრუნველყოფა შეიძლება იმით, თუ სადგურის ანტენებს აყენებენ დედამიწის ზედაპირის დონეს ზემოთ, ან თუ თვითონ სადგურს დაუფასებთ რაკეტის სტარტის ადგილს.

საზღვარგარეთ რაკეტების, აგრეთვე ხელოვნური თანამგზავრების აღმოსაჩენად და სათვალთვალოდ იყენებენ ორი ტიპის სადგურებს: ოპტიკურსა და რადიოლოკაციურს. ეს სადგურები შეიძლება იყოს როგორც მოძრავი, ისე სტაციონარული. სპეციალურად დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების სათვალთვალოდ შემუშავებულ ტელესკოპს შეუძლია 50 სანტიმეტრი დიამეტრის თანამგზავრების ფოტოგრაფირება 2500 კილომეტრ და მეტ მანძილზე, ხოლო 6 მეტრი დიამეტრის საგნებისა ისეთ მანძილზე, რომელიც უდრის მანძილს დედამიწიდან მთვარემდე (დაახლოებით 380 000 კილომეტრი).

ასეთი ფოტომოწყობილობა შესაძლებლობას იძლევა ძალიან დიდი სიზუსტით განსაზღვროს თანამგზავრის მდგომარეობა ორბიტაზე.

მაგრამ ოპტიკურ ხელსაწყოებს მთელი რიგი ნაკლოვანებანი აქვთ: ღრუბლიანობის და ბურუსის დროს ტელესკოპის გამოყენება სრულიად უსარგებლოა; გაძნელებულია დღისით მუშაობა მზის პირდაპირ, აგრეთვე ღამით მუშაობა. ამიტომ მიაჩნიათ, რომ ოპტიკური ხელსაწყოები შეიძლება გამოყენებულ იქნას რაკეტების აღმოსაჩენად და სათვალთვალოდ მხოლოდ როგორც დამხმარე საშუალებანი. ძირითადი როლი უნდა ეკუთვნოდეს ისეთ ხელსაწყოებს, რომელთა მუშაობის უნარი დამოკიდებული არ არის მეტეოროლოგიურ პირობებსა და დღე-ღამის დროზე.

ასეთი საშუალებაა **რადიოლოკაციური სადგურები.** მათ დიდი ხანია იყენებენ საჰაერო თავდაცვის სისტემებში. თანამედროვე სადგურებს შეუძლიათ აღმოაჩინონ თვითმფრინავები ასობით კილომეტრ მანძილზე და უთვალთვალონ მათს ფრენას. მაგრამ რადიოლოკაციური სადგურების გამოყენება ბალისტიკური რაკეტებისა და დედამიწის თანამგზავრების აღმოსაჩენად შესაძლებელი გახდა მხოლოდ რადიოელექტრონიკის განვითარების შედეგად. ასეთი დანიშნულების სადგურებისაგან საჭირო გახდა მოქმედების დიდმდე არნახული სიშორე, რომელიც არა ასობით, არამედ ათასობით კილომეტრით განიზომება. უკვე 1957 წელს აშერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა სადგური, რომელიც შესაძლებლობას იძლევა აღმოაჩინონ ბალისტიკური რაკეტები და უთვალთვალონ მათ 1.600 კილომეტრამდე სიშორეზე, შემდეგში კი ისეთი სადგურებიც, რომელთა მოქმედების სიშორე 5.000 კილომეტრამდეა.

ამ ტიპის სადგურები მეტად დიდი ზომისაა, განსაკუთრებით მათი ანტენური მოწყობილობანი. ერთ-ერთი ასეთი სადგურის ანტენის მრგვალი პარაბოლური ამრეკლის დიამეტრი 26 მეტრს უდრის, ხოლო ანტენის სისტემის მბრუნავი ნაწილების წონა 90-მდე ტონას.

ასეთი სადგურის მონაცემების დამუშავებას სპეციალური ელექტრონული მანქანები აწარმოებენ. ამ მანქანებისა და კავშირგაბმულობის თანამედროვე საშუალებების გამოყენებისას რაკეტის ან თანამგზავრის აღმოჩენის მომენტიდან შესაბამისი ხელმძღვანელი ცენტრებისათვის შეტყობინებამდე სულ 10 წამია საჭირო.

მაგრამ ეს სადგურები მხოლოდ პირდაპირი ხილვადობის ზონაში მუშაობენ და თვალთვალი შეუძლიათ შეზღუდულ სექტორში. ამიტომ ამერიკის შეერთებულ შტატებში იქმნება ასეთი სადგურების მთელი სისტემები, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან აღმოაჩინონ რაკეტები და უთვალთვალონ მათ უფრო შორ მანძილზე.

ამ სისტემების მშენებლობა ძალიან ძვირი ჯდება და ყველა ბალისტიკური რაკეტის ასპროცენტიანი აღმოჩენის არავითარ გარანტიას არ იძლევა. გლობალური რაკეტების შექმნის შემდეგ ეს ამოცანა მნიშვნელოვნად გართულდა.

რომან ვიქტოროვი,
საგანგებო „ახალი ამბების“ მეცნიერი კომენტატორი.

„აგიტატორის ბლოკნოტი“ № 1

გამოვიდა ჟურნალი „აგიტატორის ბლოკნოტი“ № 1.

მასში დაბეჭდილია შემდეგი მასალები: **მოწინავე** — სკკპ ცკ-ის პლენუმის გადაწყვეტილებანი და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ამოცანები; **ა. საყვარელიძე** — ვიმუშაოთ გამართულად, უნაკლოდ; **ლენინური გეზით** — ახალი გამარჯვებებისაკენ; **ნ. კლდიაშვილი** — ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის; **ქალაქი რუხთავი** 15 წლისაა; **გ. მშვილდაძე** — სოციალისტური საკუთრების ფორმები სსრ კავშირში; **ვ. მაჭავარიანი** — გასული წლის მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენები და სხვ.

ქუთაისელი კომუნისტი

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

9 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — დემონი (დღისით), ტრუბადური (საღამოს, 1-ლი აბონ. მე-6 სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — მესამე სუფრეული (დღისით, მე-3 აბონ. მე-2 სპექტ., საღამოს, მე-14 აბონ. 1-ლი სპექტ.), **მარჯანიშვილის სახელობის** — მედეა (დღისით 22-ე აბონ., მე-2 სპექტ.), მე. ბებია, ილიკო და ილარიონი (საღამოს, მე-20 აბონ. 1-ლი სპექტ.), **გრიბოედოვის სახელობის** — ჩრდილოეთის მაღონა (დღისით), ორნი საქანელაზე (საღამოს, მე-9 აბონ. მე-4 სპექ.), **ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში — კონცერტი (დღისით), **სანსულტურის** — უხვი საღამო, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ბრაზილიის საუნჯე (აბონ. № 7, 12 ს.), ტარტიუფი (აბონ. № 31, 6 ს.).

ტელევიზია

9 იანვარი

12.00 — მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრის სპექტაკლის „ბრაზილიის საუნჯის“ ტრანსლაცია 18.00 — გადაცემა „ეარსკვლავის ირდადგეგები“, 18.15 — კონცერტი — „მხიარული ბავშვები“, 19.00 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.30 — საუბარი „მშვიდობის ბიუჯეტი“, 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — გადაცემა ციკლიდან — „გამოჩენილი საბჭოთა მომღერალი — გეორგ ოტსი, 20.40 — კინოჟურნალი, 20.50 — ახალი ამბები, 21.05 — მხატვრული ფილმი — „შავი თოლია“.

რადიო

10 იანვარი

პირველი პროგრამით

06.40 — ქართული ხალხური სატრფიალო სიმღერები, 08.30 — გუდიაშვილი. კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 09.10 — კონცერტი, 10.15 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 10.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.15 — კონცერტი ოთარ თაქთაქიშვილის ნაწარმოებებიდან, 12.00 — გადაცემა — „ლაპარაკობს ბათუმი“, 12.15 — ნაწყვეტები შ. მშველიძის ოპერებიდან, 13.40 — ა. ნოვიკოვის სიმღერები, 17.15 — გლეერი. კონცერტი ხმისა და ორკესტრისათვის, 17.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „პეტია და მგელი“, 18.10 — მღერის დ